რუსული მარში

დასავლეთის წინააღმდეგ

5-6 ივლისი

რუსული მარში

დასავლეთის წინააღმდეგ

დოკუმენტი მომზადებულია:

დემოკრატიის მცველები-ს მიერ

ანგარიში გამოცემულია „საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი“ - ს ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის/ავტორების მიერ მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

შესავალი 4

ანგარიშის ძირითადი მიგნებები. 4

ნაწილი I - როგორ მოვედით 5 ივლისამდე? 5

1.1 როგორ იგეგმებოდა პროცესები. 5

1.2 როგორი იყო ქრონოლოგია 7

1.3 რა მიზანი ჰქონდათ ძალადობრივ ჯგუფებს 12

1.4 როგორ მოახერხეს მხარდამჭერების მობილიზება და კონსოლიდაცია. 15

ნაწილი II - ვინ იყო ჩართული 5 ივლისის მოვლენებში? 18

2.1 ძალადობრივი ჯგუფების ორგანიზატორები და მათი კავშირები 18

2.2 ძალადობრივი ჯგუფების წევრები 21

2.3 ძალადობრივი ჯგუფების მხარდამჭერები 24

2.4 5 ივლისის აქციის დაფინანსება და ორგანიზატორთა სავარაუდო ფინანსური წყაროები 29

ნაწილი III - როგორ განვითარდა 5-6 ივლისის მოვლენები? 32

3.1 5 ივლისის მოვლენების ქრონოლოგია 32

3.2 6 ივლისის მოვლენების ქრონოლოგია 41

3.3 ძალადობრივი ჯგუფების ორგანიზებისა და 5-6 ივლისის პროცესების სამართლებრივი შეფასება 42

1.უნდა დაეშვა თუ არა ხელისუფლებას „თბილისი პრაიდის" საწინააღმდეგო აქციის ჩატარება? 42

2.კიდევ რა დარღვევები გამოიკვეთა 5-6 ივლისის აქციებზე? 43

3.როგორ შეიძლება დაკვალიფიცირდეს ორგანიზების პროცესი? 46

3.4 საკომუნიკაციო არხები და ძირითადი მესიჯები

(კომუნიკაცია საზოგადოებასთან, კომუნიკაცია ჯგუფის წევრებთან, კომუნიკაცია ჯგუფებს შორის. არხები, გზები, საშუალებები.) 47

დასკვნა 51

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, მიმოიხილოს 2021 წლის 5 და 6 ივლისს თბილისში მომხდარი მოვლენები და ამ მოვლენათა წინასაორგანიზაციო პერიოდი; შეაფასოს ხელისუფლების ქმედებები ლგბტქ+ თემის, მედიასაშუალებების წარმომადგენლებისა და სამოქალაქო აქტივისტთა უფლებების დაცვის კუთხით.

ანგარიში სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი 5 ივლისამდელ მოვლენებს - პრაიდის საწინააღმდეგო აქციის ორგანიზების პროცესსა და მათთან დაკავშირებულ საკითხებს მიმოიხილავს. მეორე ნაწილი ძალადობის ორგანიზებაში, მონაწილეობასა და მხარდაჭერაში ჩართულ პირებს, მათ საქმიანობასა და კავშირებს ეთმობა. მესამე ნაწილი ქრონოლოგიურად აღადგენს 5-6 ივლისის მოვლენებს, აფასებს მათ სამართლებრივ ჭრილში და იკვლევს რადიკალური ჯგუფების სამოქმედო ტაქტიკას.

დოკუმენტის მომზადების პროცესში დამუშავდა აქციიდან მოპოვებული არაერთი ფოტო-ვიდეო მასალა. მოვლენათა კვლევისას ვიყენებდით მედიასაშუალებათა მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, საერთაშორისო და ადგილობრივ საკანონმდებლო ბაზას.

ანგარიშის ძირითადი მიგნებები

- *სიძულვილის ჯგუფებმა თითქმის ერთი თვით ადრე დაიწყეს ძალადობის ორგანიზება და მხარდამჭერთა მობილიზება*
- *ხელისუფლებამ 5 ივლისს არ დაიცვა ლგბტქ+ თემის წევრები და მხარდამჭერები, სამოქალაქო აქტივისტები და მედიის წარმომადგენლები, მათზე განხორციელებული ძალადობისგან*
- *„ღირსების მარშის“ წევრებისა და მხარდამჭერების დაცვის ნაცვლად, ხელისუფლებამ ჰომოფობიური და ანტიდემოკრატიული განცხადებებით, თავადვე წაახალისა ძალადობრივი ჯგუფების ძალადობა მშვიდობიან მოქალაქეებზე*
- *ხელისუფლებამ ლგბტქ+ თემის წევრებს, მათ მხარდამჭერებსა და სამოქალაქო აქტივისტებს არ მისცა „ღირსების მარშის“ გამართვის შესაძლებლობა და მათი კონსტიტუციით გარანტირებული შეკრების თავისუფლება დაარღვია*
- *საპატრიარქოს მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა, გარკვეულწილად, ხელი შეუწყო 5 ივლისს პრაიდის საწინააღმდეგო აქციაზე ხალხის მობილიზებას*
- *პარალელურად, ცალკეული სასულიერო პირები აქტიურად მოუწოდებდნენ მრევლს ძალადობისკენ.*

ნაწილი I - როგორ მოვედით 5 ივლისამდე?

1.1 როგორ იგეგმეგოდა პროცესები?

2021 წლის 4 ივნისს თბილისი პრაიდმა პრაიდის კვირეულისა და 5 ივლისს „ღირსების მარშის“ გამართვის თაობაზე განცხადება გამოაქვეყნა. განცხადების გამოქვეყნებიდან მალევე, ჰომოფობიურად განწყობილმა ჯგუფებმა, პრაიდის საწინააღმდეგო აქციები დააანონსეს. 5-6 ივლისის ძალადობრივ აქციებს წინ თითქმის ერთთვიანი საორგანიზაციო მოქმედებები უძღოდა, რომლებიც საბოლოოდ, მედიასა და არასამთავრობო ორგანიზაციებზე თავდასხმით დასრულდა.

5 ივლისის პროცესების დაგეგმვას ხელმძღვანელობდა ორგანიზაცია „ალტ-ინფო“. „ალტ-ინფოს“ წევრებმა: ზურაბ მახარაძემ, ირაკლი ყიზილაშვილმა, გიორგი ქარდავამ და შოთა მარტინენკომ გადაცემა „ალტ-ანალიტიკის“ ეთერში განაცხადეს, რომ არ დაუშვებდნენ საქართველოში პრაიდის კვირეულის ჩატარებას და „ღირსების მარშის“ ჩასაშლელად საორგანიზაციო შეხვედრებს დაიწყებდნენ.[1] პირველი საორგანიზაციო შეხვედრა 19 ივნისს, ვაკეში, მზიურის პარკში გაიმართა.

19 ივნისის საორგანიზაციო შეხვედრაზე განიხილეს მხარდამჭერთა რეგიონებიდან მობილიზებისა და ტრანსპორტირების საკითხები, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად პოზიციები შეჯერდა პირველად სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით. დაიგეგმა პრაიდის საწინააღმდეგო აქციის კამპანია სოციალური ქსელებისა და „ალტ-ინფოს“ სატელევიზიო სივრცის მეშვეობით.[2] კამპანია გამოირჩეოდა ანტილიბერალური, ანტიდასავლური, ჰომოფობიური და ძალადობრივი მოწოდებებით.[3]

ფართომასშტაბიანი ე.წ. „სადამსჯელო ოპერაციის“ დაგეგმვის მიზნით, „ალტ-ინფო“ თანამშრომლობას სთავაზობდა სხვა ანტილიბერალურ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პოლიტიკურ მოძრაობებს. 21 ივნისს, ზურაბ მახარაძემ „ალტ-ანალიტიკის“ ეთერში მორიგი საორგანიზაციო შეხვედრა დააანონსა.[4] მისი თქმით, შეხვედრას დაესწრებოდნენ ჯონდი ბაღათურია, ბავშვთა უფლებათა დაცვის ორგანიზაცია, ქართული იდეა, ქართული მისია, ლევან ვასაძის პოლიტიკური მოძრაობა „ერი“, ზვიად ტომარაძე, დიმიტრი ლორთქიფანიძე, გურამ ფალავანდიშვილი. მახარაძე შეხვედრაზე დასწრების დასტურს ელოდებოდა „პატრიოტთა ალიანსისა“ და რიონის ხეობის მცველებისგან.

24 ივნისს, საორგანიზაციო შეხვედრა და პრესკონფერენცია მცხეთაში, „ჯინო ველნესში“ გაიმართა.[5] „ალტ-ინფოს“ ინფორმაციით, ისინი მოკავშირე ძალებთან ერთად, 5 ივლისს დაგეგმილი ლგბტქ+ პრაიდის წინააღმდეგ აქციის ორგანიზებაზე შეთანხმდნენ. შეთანხმებას შეუერთდნენ: ორგანიზაცია „მამულიშვილები“, ჩოხოსანთა საზოგადოება, მოძრაობა „ეროვნული მასმედიისთვის“, პედაგოგთა ასოციაცია „განათლება და ზნეობა“,

1 იხ. გადაცემა „ალტ-ანალიტიკა“ https://cutt.ly/PYyJ6mz

2 იხ. კადრები საორგანიზაციო შეხვედრიდან https://cutt.ly/hYyKpOq

3 იხ. გადაცემა „ალტ-ანალიტიკა“ https://cutt.ly/xYyKjCM

4 იხ. გადაცემა „ალტ-ანალიტიკა“ https://cutt.ly/FYyKCjF

5 იხ. ვიდეო https://cutt.ly/0YyK9j8

ბიზნესასოციაცია „სოლიდარობა“, საზოგადოება „დავითიანი“, მედიაკავშირი „ალტ-ინფო“, „ქართული იდეა“, „ქართული მისია“, საზოგადოებრივი მოძრაობა „ერი“, ჯონდი ბაღათურია, დიმიტრი ლორთქიფანიძე, ზვიად ტომარაძე.

საორგანიზაციო შეხვედრის მიზანი სამოქმედო სტრატეგიის განხილვა და საერთო პოზიციებზე შეჯერება იყო. პრესკონფერენციაზე კი, ზურაბ მახარაძემ 5 ივლისის აქციის სავარაუდო სამოძრაო ლოკაციები დაასახელა.[6]

> *„ყველა აქ წარმოდგენილი ორგანიზაცია ვაცხადებთ, რომ არანაირი ლგბტქ+ პროპაგანდის, გარყვნილების პროპაგანდის აღლუმი რუსთაველზე არ ჩატარდება. ყველა თავმოყვარე ქართველს მოვუწოდებთ, ხუთში, დილის ათ საათზე, ქაშუეთის უკან, ცხრა აპრილის ბაღში ვაცხადებთ საყოველთაო მობილიზებას და იქიდან ჩვენ დავიკავებთ მთელი რუსთაველის პროსპექტს. რუსთაველის ძეგლიდან დაწყებული თავისუფლების მოედნით დამთავრებული, არ დარჩება ლოკაცია, რომელსაც ჩვენ არ გავაკონტროლებთ. და არანაირი გარყვნილების ნორმალიზების მარში არ ჩატარდება“.*

საორგანიზაციო შეხვედრებთან ერთად, 5 ივლისის აქციის დაგეგმვაზე გავლენა იქონია საინფორმაციო კამპანიამ. „ალტ-ინფოს“ წევრები, მხარდამჭერებთან ერთად, ხალხს სოციალური ქსელებისა და მედიასაშუალებების მეშვეობით, აქციაზე მისვლისა და ძალადობისკენ მოუწოდებდნენ.

> *„ვაიმე, დედა, ძალადობას ვემიჯნები. როგორ შეიძლებოდა, ცუდი სანახავი იყო რო გაეკიდნენ, არა ეხა ეგრე ხო არ შეიძლება ... ზუსტად ეგრე შეიძლება! კი არა, უარესად შეიძლება და ესენი თუ ერთ ადგილს არ დააყენებენ, უარესადაც იქნება. ერთად გადავამტვრიოთ ამათი პიდარასტების აღლუმი ხუთში“, - ზურაბ მახარაძე*

4 ივლისს, ზურაბ მახარაძემ ტიკ-ტოკის პირად გვერდზე გამოაქვეყნა ვიდეომიმართვა. მისი განცხადებით, ორგანიზატორების მიერ გამართული ყველა საორგანიზაციო შეხვედრა „წარმატებით“ დასრულდა.[7]

5 ივლისის მოვლენების დაგეგმვაზე მსჯელობისას, შესაძლოა, ვისაუბროთ მათ შორის საქართველოს საპატრიარქოს ჩართულობაზეც. მათი პირველი განცხადება, კვირეულის გაუქმების მოთხოვნით, თბილისი პრაიდის ორგანიზატორებსა და საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებს მიემართებოდა.[8] თუმცა, ვინაიდან „თბილისი პრაიდმა“ „ღირსების მარში“ და კვირეულის ფარგლებში დაგეგმილი სხვა ღონისძიებები არ გააუქმა, საპატრიარქომ მორიგი მიმართვა გამოაქვეყნა.[9] მიმართვის თანახმად, საპატრიარქო 5 ივლისს, ქაშუეთის ტაძარში პარაკლისის აღვლენას გეგმავდა და საზოგადოებას „ღირსების მარშის“ „მშვიდობიანი მეთოდებით“ გაპროტესტებისაკენ მოუწოდებდა.

> *„აღვავლინოთ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის პარაკლისი და მსოფლიოს ვაჩვენოთ, რომ ჩვენ ჩვენს ღირსებას ვიცავთ და გადაგვარების თავსმოხვეული*

6 იქვე.

7 იხ. ზურაბ მახარაძის მიმართვა https://cutt.ly/hYyLwhR

8 იხ. საპატრიარქოს განცხადება https://cutt.ly/RYyLcfX

9 https://formulanews.ge/News/52943

მცდელობა ჩვენთვის მიუღებელია“.

5 ივლისს მოძალადეთა მობილიზებაში პირადადაც მონაწილეობდნენ სასულიერო პირები, რაც მკაფიოდ ვლინდება „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ ფეისბუკ-გვერდზე გავრცელებული ვიდეოჩანაწერებიდანაც.[10] ფეისბუკ-გვერდი „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება“ 2017 წლის 23 ივნისს შეიქმნა და ის ამავე სახელწოდების ორგანიზაციას ეკუთვნის, რომლის გამგეობის თავმჯდომარეც გურამ ფალავანდიშვილია.[11]

„ალტ-ინფოსთან“ ერთად, 5 ივლისამდელი და შემდგომი მოვლენების დაგეგმვაში აქტიურად მონაწილეობდნენ ახალგაზრდული ცენტრი „ზნეობა“ და „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება“, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან და ევროკავშირის წარმომადგენლობასთან დაგეგმილ აქციებს უწევდნენ ორგანიზებას.

1.2 როგორი იყო ქრონოლოგია?

„თბილისი პრაიდის“ წევრების მიერ პრაიდის კვირეულისა და „ღირსების მარშის“ დაანონსებას, სოციალურ ქსელებსა და მედიასაშუალებებში, ლგბტქ+ თემისა და მათი მხარდამჭერების წინააღმდეგ, ჰომოფობიური ჯგუფების აგრესიული და მუქარის შემცველი განცხადებები მოჰყვა. ანტილიბერალური ფრთის გადადგმულმა რადიკალურმა ნაბიჯებმა კი, საბოლოოდ, 5 ივლისის ძალადობრივ მოვლენებამდე მიგვიყვანა. ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის შედეგად, შესაძლებელი გახდა 5 ივლისამდელი მოვლენების ქრონოლოგიურად აღდგენა.

„თბილისი პრაიდის“ განცხადების შემდეგ, განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდნენ „ალტ-ინფოს“, „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოებისა“ და „ქართული მისიის“ წევრები. თუმცა, მათთან ერთად, ჰომოფობიური განცხადებებით გამოირჩეოდა ბიზნესმენი და პოლიტიკური მოძრაობა „ერის“ დამფუძნებელი ლევან ვასაძე. მან ხელისუფლებას ულტიმატუმი წაუყენა - „ქართულ ოცნებას“ 10-დღიანი ვადა მისცა მარშის გასაუქმებლად და „გარყვნილების პროპაგანდის“ ამკრძალავი კანონის მისაღებად.[12]

„გააუქმონ დაანონსებული ე.წ. პრაიდი, რათა არ მისცენ საბაბი ქვეყანაში ესკალაციის და დაპირისპირების განვითარებას“, - ლევან ვასაძე. (15 ივნისი, 2021)

17 და 18 ივნისი, 2021

17-18 ივნისს, გადაცემა „ალტ-ანალიტიკის“ ეთერში პრაიდის საწინააღმდეგო აქციები დაანონსდა.[13]

„ჩვენ იმდენი უნდა მივიდეთ მანდ, რომ პოლიცია კი არა, რაც არ უნდა დააყენონ, უბრალოდ აზრი არ ექნება არაფრის ჩვენს წინააღმდეგ გაკეთებას“, - გიორგი ქარდავა

10 იხ. განცხადება https://cutt.ly/UYyLUTA

11 https://cutt.ly/hYyLJff

12 იხ. ლევან ვასაძის განცხადება https://cutt.ly/lYyLBN6

13 იხ. გადაცემა „ალტ-ანალიტიკა“ https://cutt.ly/BYyZg6w

„მობილიზება ხალხს მოუწევს პირველი ივლისიდან“, - შოთა მარტინენკო

რაც შეეხება, პრაიდის მხარდამჭერთა კონსტიტუციურ უფლებას, ესარგებლათ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით, გიორგი ქარდავამ „ალტ-ანალიტიკის“ ეთერში განაცხადა, რომ ის არ ცნობდა კონსტიტუციას, როგორც უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე სამართლებრივ დოკუმენტს

–„ეს კონსტიტუცია გეგონება რაიმეს ნიშნავს. არაფერს არ ნიშნავს კონსტიტუცია ჩვენთვის. მასზე აპელირება არის ბავშვური წარმოდგენები“.[14] [15]

19 ივნისი, 2021

„ალტ-ინფომ“, მხარდამჭერ და პარტნიორ ჯგუფებთან ერთად, პრაიდის საწინააღმდეგო აქციის საორგანიზაციო შეხვედრა გამართა.[16]

21 ივნისი, 2021

„ალტ-ინფომ“ 24 ივნისს მორიგი საორგანიზაციო შეხვედრა და პრესკონფერენცია დააანონსა.[17] ზურაბ მახარაძემ პირდაპირ ეთერშივე განაცხადა, რომ ის ძალადობას არათუ ემიჯნებოდა, არამედ, ემხრობოდა კიდეც და სხვებსაც იმავეს მოუწოდებდა.

„ვინც ემიჯნება [ძალადობას] ის არაადამიანია“. - ირაკლი მარტინენკო

„ალტ-ინფოს“ წევრები მხარდამჭერებს მოუწოდებდნენ არ გამიჯვნოდნენ ძალადობას, პირიქით, თავადაც ეძალადათ,

– „ვაიმე დედა, ეს მოძალადეა და მე ამასთან არა ვარ, ეგეთი სისულელე არავინ არა თქვას. გამიჯვნას ვინც აპირებს, ეგ ხალხი ჩვენთან არ არის“.[18]

22 ივნისი, 2021

„ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოებამ“ მეუფე სპირიდონის მიმართვა გაავრცელა. მეუფე მრევლს პრაიდის საწინააღმდეგო აქციაზე გასვლისაკენ მოუწოდებდა,

– „ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს, რომ აქცია არ ჩატარდეს“.

24 ივნისი, 2021

მორიგი საორგანიზაციო შეხვედრა და პრესკონფერენცია გაიმართა. ზურაბ მახარაძემ განაცხადა, რომ არავის მისცემდნენ აღლუმის რუსთაველზე ჩატარების უფლებას. მოკავშირე ძალებთან ერთად გააკონტროლებდნენ რუსთაველის გამზირიდან თავისუფლების მოედნამდე მთელ ტერიტორიას.[19]

28 ივნისი, 2021

14 იხ. გადაცემა „ალტ-ანალიტიკა“ https://cutt.ly/pYyZnFh

15 იხ. ვიდეო https://cutt.ly/sYyZPhd

16 იხ. კადრები საორგანიზაციო შეხვედრიდან https://cutt.ly/UYyZBe9
იხ. გადაცემა „ალტ-ანალიტიკა“ https://cutt.ly/qYyZ3yn

17 იხ. გადაცემა „ალტ-ანალიტიკა“ https://cutt.ly/UYyXy19

18 იხ. ვიდეო https://cutt.ly/3YyXzuZ

19 იხ. ვიდეომიმართვა https://cutt.ly/nYyXT8N

„ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოებამ“ კარვების დადგმა დააანონსა. გურამ ფალავანდიშვილმა, ალექსანდრე ფალავანდიშვილმა, ილია მარგველანმა და დიმიტრი ლორთქიფანიძემ მიმართვა გაავრცელეს, სადაც აღნიშნავდნენ, რომ 4 ივლისის საღამოდან მეტრო „რუსთაველთან“ კარვებს დადგამდნენ. კარვების დადგმის მიზანი 5 ივლისს ე.წ „ღირსების მარშის“ ჩაშლა იყო. დაიგეგმა აქციები ევროკავშირის წარმომადგენლობასთან და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთანაც.[20]

29 ივნისი, 2021

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

საქართველოს საპატრიარქოს განცხადებაში რამდენიმე ფაქტორზე გამახვილდა ყურადღება. პირველ რიგში, საპატრიარქო მიიჩნევდა, რომ „ღირსების მარში“ არატრადიციული ცხოვრების წესის პროპაგანდას ეწეოდა, შეიცავდა პროვოცირების ნიშნებს, კონფლიქტში შედიოდა საზოგადოებაში აღიარებულ ზნეობრივ ნორმებთან და ლახავდა ბავშვის ფსიქიკასა და მის საუკეთესო ინტერესს. მეორე მხრივ, საპატრიარქომ განაცხადა, რომ მსგავსი აქტივობები ხელს უწყობდა მცირე ნაწილისთვის გარკვეული დივიდენდების მიღებას და ხალხში ამ ჯგუფებისადმი აგრესიის ხელოვნურად გაჩენას.

საპატრიარქომ ევროპარლამენტის ლგბტქ+ საკითხებზე მომუშავე ჯგუფის 30 წევრ პარლამენტარს, საქართველოში აკრედიტებულ საელჩოთა ხელმძღვანელებსა და „თბილისი პრაიდის“ ორგანიზატორებს დაგეგმილი აქტივობების გაუქმების მოთხოვნით მიმართა.

მორიგი პრესკონფერენცია

„ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოებამ“ 11:30 საათზე პრესკლუბში, „კვირა“, მათ მიერ დაგეგმილ აქციებთან დაკავშირებით, პრესკონფერენცია გამართა.[21]

ზურაბ მახარაძის აგრესიული მოწოდება

ამავე დღეს, ზურაბ მახარაძემ ტიკ-ტოკის პირად გვერდზე ვიდეომოწოდებები გამოაქვეყნა და ხალხს ძალადობისკენ მოუწოდა.

> *„5 ივლისს ის კი არ წყდება, 10 პიდარასტი რუსთაველზე გაივლის თუ არა, ხუთ ივლისს წყდება ქვეყანაში ვისი წესები მოქმედებს! მოღალატე პოლიტიკოსების, ენჯეოების, მედიასაშუალებების, და რაც მთავარია, მათი უცხოელი პატრონების, თუ - ჩვენი. ისინი ჩვენ მოძალადეებს გვეძახიან და დიახ, მე ვარ მოძალადე!. მე შემიძლია და ვაპირებ, საკუთარი ღირებულებების, მათ შორის, ძალით დაცვას. თუ ჩემი შვილი ამათი შექმნილი ჯოჯოხეთის პირობებში უნდა გაიზარდოს, მე მზადა ვარ ძალით ვიმოქმედო ამის წინააღმდეგ. ხუთ ივლისს, დილის 10 საათიდან, მე და ჩემი ძმები გავალთ და დავდგებით ქაშუეთის უკან, ცხრა აპრილის ბაღში, იქიდან ავიღებთ მთლიანად რუსთაველს და ვაჩვენებთ ამ ფარჩაკებს, ვისი ქვეყანა არის საქართველო. თუ თქვენ, შეგრჩენიათ ელემენტარული ღირსების გრძნობა, გამოდით, დაგვიდექით გვერდზე და ვიბრძოლოთ იმისთვის, რაც ღირებულია და მნიშვნელოვანია. 5 ივლისს, დილის ათი საათიდან, ქაშუეთის უკან! ჩემ ფეხებს ჩაატარებენ ეგენი გარყვნილების*

20 იხ. მიმართვა https://cutt.ly/YYyXDFM

21 პრესკონფერენცია https://cutt.ly/lYy1i1q

აღლუმს“.[22]

„5 ივლისს, დილის ათი საათიდან, ქაშუეთის უკან, ცხრა აპრილის ბაღში - ერთად გავაფარჩაკოთ ლგბტქ+ პრაიდი“.[23]

30 ივნისი, 2021

ევროკავშირის წარმომადგენლობასთან საპროტესო აქცია გაიმართა.

როგორც მონაწილეები აცხადებდნენ, ეს იყო აქცია „დასავლელი დიპლომატების წინააღმდეგ, რომელიც ქართველ ერს აძალებენ სოდომიას“. აქციას ორგანიზება გაუკეთეს ახალგაზრდულმა ცენტრმა „ზნეობამ“ და „ბავშვთა უფლებათა დაცვის საზოგადოებამ“. საპროტესტო აქციის მონაწილეები კარლ ჰარცელთან შეხვედრას ითხოვდნენ, ისინი ჰომოფობიური/ანტიდასავლური განცხადებებითა და ტრანსპარანტებით გამოირჩეოდნენ.[24]

აქცია ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან

ალექსანდრე და გურამ ფალავანდიშვილებმა, მომხრეებთან ერთად, ამერიკის საელჩოსთან გამართეს აქცია. აქციის მონაწილეები კელი დეგნანის საქართველოდან გაძევებას მოითხოვდნენ. ალექსანდრე ფალავანდიშვილის განცხადებით, ისინი აპროტესტებდნენ კელი დეგნანის საქმიანობას - *„ჩვენ მოვედით კელი დეგნანთან, რომელიც არის ერთ-ერთი დამძალებელი სოდომიის, პარადების, ბავშვების გარყვნის. აშშ-ის ელჩი, ლგბტქ+ აგრესორი გაძევდეს საქართველოდან!.“*[25]

პრაიდის საწინააღმდეგო აქციის ორგანიზატორების განცხადებები[26]

„ალტ-ინფოს“ წევრმა და ღირსების მარშის კონტრაქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, შოთა მარტინენკომ, 30 ივნისს განცხადება გააკეთა მისი გამოკითხვაზე დაბარების შესახებ, ამის პარალელურად, აღნიშნა, რომ ძალადობას არ ემიჯნება და ყველაფრისთვის მზად არის. „ალტ-ანალიტიკის“ წამყვანებმა წინასწარ ისაუბრეს 5 ივლისის გეგმების შესახებ, და თქვეს, რომ საორგანიზაციო ჯგუფის წევრები მობილიზაციას გაუკეთებდნენ თავიანთ თანამოაზრეებს. 5 ივლისს დილის 10 საათიდან შეგროვდებოდნენ 9 აპრილის ბაღში, აიღებდნენ მთელ რუსთაველს, ყველა ლოკაციას და არ დაუშვებდნენ გეი აღლუმის ჩატარებას.

განცხადება გააკეთა ლევან ვასაძემაც - *„ჩვენ ამას აღვუდგებით წინ. ყველა ტრადიციული ადამიანის მოვალეობაა არ გაატეხინოს ხერხემალში საქართველოს ზნეობრივი კოდი ამ მტრებს“.*

1 ივლისი, 2021

აქცია კლუბ „ხიდთან“[27]

22 იხ. ზურაბ მახარაძის მიმართვა https://cutt.ly/YYy1zOu

23 იხ. ზურაბ მახარაძის მიმართვა https://cutt.ly/dYy1mhZ

24 იხ. კადრები https://cutt.ly/TYy1YvT

25 იხ. კადრები ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან გამართული აქციიდან https://cutt.ly/FYy1F8g

26 https://cutt.ly/RYy1VgD

27 https://cutt.ly/5Yy0yCc ; https://youtu.be/SYMrVlhjRT4 ; https://cutt.ly/oYy134A

ძალადობრივად განწყობილმა ჯგუფებმა ლგბტქ+ პრაიდის წინააღმდეგ ვახუშტის ხიდის ქვეშ, კლუბ „ხიდთან“ გამართეს აქცია (ლოკაციაზე შეკრება 5 საათიდან დაიწყო).

აქციას ესწრებოდნენ „ალტ-ინფოს“ წევრები და მთავარი ორგანიზატორები: ზურა მახარაძე (რომელიც აქციამდე გამოკითხვაზე იმყოფებოდა), ირაკლი მარტინენკო, კოკა მორგოშია, ემრე ქუჩუკი და ა.შ. გარდა „ალტ-ინფოს“ წევრებისა, აქციაზე ასევე გამოჩნდნენ გია კორკოტაშვილი, სანდრო ბრეგაძე, გურამ და ალექსანდრე ფალავანდიშვილები.

ვახუშტის ხიდთან მდგომარეობა რამდენჯერმე დაიძაბა, ადგილი ჰქონდა ფიზიკურ დაპირისპირებებს, ძალადობრივ მოწოდებებს და კერძო საკუთრებაში უკანონოდ შეღწევის მცდელობებს. პარალელურ რეჟიმში „ალტ-ინფოს“ ჯგუფის წარმომადგენლები ლაივში აშუქებდნენ მოვლენებს და მაყურებლებს ძალადობრივ აქციაში მონაწილეობისკენ მოუწოდებდნენ. პრაიდის მოწინააღმდეგეებმა გზის გადაკეტვა სცადეს, ამ დროს სამართალდამცავებმა ზურაბ მახარაძე აქციის რამდენიმე მონაწილესთან ერთად დააკავეს. დაკავებულები მალევე გამოუშვეს.

2 ივლისი, 2021

ზურაბ მახარაძის მოწოდება

ზურაბ მახარაძემ 2 ივლისს, ტიკ-ტოკის ანგარიშზე გამოაქვეყნა მოწოდება: *„ხუთში, პრაიდს დედა აქვს ნატირები. ხუთ ივლისს, დილის ათი საათიდან, ქაშუეთის უკან გამოდით, დედა ვუტიროთ პიდარასტების არმიას“.*[28]

3 ივლისი, 2021

შეკრება ლისზე

ალექსანდრე და გურამ ფალავანდიშვილი მომხრეებთან ერთად ახალ იპოდრომთან (ლისზე) შეიკრიბნენ. შეკრების მიზანი ლგბტქ+ კვირეულის ფარგლებში დაგეგმილი კონცერტის ჩაშლა იყო.[29]

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

საპატრიარქომ პრაიდის მხარდამჭერი საელჩოები და ევროპარლამენტარები გააკრიტიკა, ისინი საზოგადოების უდიდესი უმრავლესობის არჩევანის უგულებელყოფასა და საქართველოს მოქალაქეთა საზოგადოებრივ და სულიერ ცხოვრებაში მკვეთრად ჩარევაში დაადანაშაულა. *„ეს მათი უფლებამოსილების გადამეტებაა“* - ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

გარდა ამისა, საპატრიარქომ 5 ივლისს ღირსების მარშის პარალელურად კონტრაქცია დაგეგმა და საზოგადოებას *„მშვიდობიანი პროტესტის“* გამოსახატავად გამოსვლისკენ მოუწოდა. შესაძლო საფრთხეებზე პასუხისმგებლობა საპატრიარქომ პრაიდის ორგანიზატორებს დააკისრა.[30]

4 ივლისი, 2021

28 იხ. ზურაბ მახარაძის მიმართვა https://cutt.ly/7Yy0hy4

29 იხ. კადრები აქციიდან https://cutt.ly/NYy0nac ; https://cutt.ly/GYy0TZY

30 იხ. საპატრიარქოს განცხადება https://cutt.ly/mYy0FNk

ალექსანდრე ფალავანდიშვილმა მომხრეებთან ერთად რუსთაველის მეტროსთან კარვები გაშალა (დაახლ. 10 კარავი).

გურამ ფალავანდიშვილმა 5 ივლისის დღე მეორე დიდგორად შეაფასა და არც მსხვერპლის არსებობა გამორიცხა - *„შეიძლება იყოს მსხვერპლი. ამას ვაანონსებ. თუ მთავრობა მაინც გამოიყვანს აი ამ გაუგონარ მოძალადეებს“.*

> *„ჩვენ შევითავსებთ პოლიციის როლს. ეს არაა ძალადობა. ეს არის ძალის გამოყენება. ჩვენ გამოვიყენებთ ადეკვატურ და ჰუმანურ ძალას ამ პროპაგანდის წინააღმდეგ. მაგრამ ამდენი ხალხმრავლობის და უზნეობის დროს, არავინ არის დაზღვეული, რომ მსხვერპლი არ იქნება“.*[31]

5 ივლისი, 2021

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა 5 ივლისს, მთავრობის სხდომის დაწყების წინ განაცხადა, რომ „თბილისი პრაიდის“ მიერ რუსთაველის გამზირზე დაანონსებული „ღირსების მარშის“ ჩატარება მიზანშეწონილი არ იყო და რომ აქციის ორგანიზატორების უკან „რადიკალური ოპოზიცია“ იდგა, მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით.

საყურადღებო იყო ღარიბაშვილის ბრალდებები „ღირსების მარშისა“ და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წინააღმდეგ. მისი აზრით, რადიკალურ ოპოზიციას, რომელიც „მარშს“ აორგანიზებდა, ქვეყანაში „სამოქალაქო არეულობისა და ქაოსის“ შემოტანა სურდა.[32]

1.3 რა მიზანი ჰქონდათ ძალადობრივ ჯგუფებს?

ძალადობრივად განწყობილი ჯგუფების განცხადებებიდან და მოქმედებიდან გამომდინარე, ჩანდა, რომ მათი უმთავრესი მიზანი პრაიდის კვირეულის ჩაშლა იყო. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ღირსების მარში ლახავდა საზოგადოების ზნეობრივ ნორმებს და სახელმწიფოში „არატრადიციული ცხოვრების წესის“ პროპაგანდას ემსახურებოდა. ძალადობრივმა და პრორუსულმა ჯგუფებმა პროტესტის გამოსახატავად თავიდანვე ძალადობრივი მეთოდები აირჩიეს. 5 ივლისამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე დაიწყო აგრესიული კამპანია ლგბტქ+ თემისა და მისი მხარდამჭერების წინააღმდეგ. „ალტ-ინფოს“ წევრები მომხრეებს მოუწოდებდნენ არ გამიჯვნოდნენ ძალადობას, პირიქით, თავადაც ეძალადათ. მათი თითოეული განცხადება საზოგადოების პოლარიზებისკენ იყო მიმართული

> *- „ვინც ემიჯნება, [ძალადობას] ის არაადამიანია“ (ირაკლი მარტინენკო); „ვაიმე დედა, ეს მოძალადეა და მე ამასთან არა ვარ, ეგეთი სისულელე არავინ არა თქვას. გამიჯვნას ვინც აპირებს, ეგ ხალხი ჩვენთან არ არის“.*[33]

5 ივლისის ძალადობრივ მოვლენებში მონაწილე ჯგუფებს სურდათ სამაგალითოდ დასჯილიყვნენ „თბილისი პრაიდის“ ორგანიზატორები და მათი მხარდამჭერები.

31 იხ. ფალავანდიშვილის განცხადება https://cutt.ly/rYy0BqS

32 იხ. ღარიბაშვილის განცხადება https://cutt.ly/AYy2eCp

33 https://cutt.ly/sYy2pRh (დაახლ. დრო 29:35).

„ეს 2021 წელი როგორი წელი უნდა იყოს იცით? 2013 წელი (საუბარია, 2013 წლის 17 მაისს განვითარებულ მოვლენებზე) კი არ უნდა გაახსენდეს არავის, 2021 წელი უნდა იყოს ამათთვის ყველაზე საშინელი კოშმარი", - ზურაბ მახარაძე.[34]

მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით, პრაიდის წინააღმდეგ დაანონსებული აქციები ლგბტქ+ თემის წინააღმდეგ იყო მიმართული, აქციის ორგანიზატორთა მიზნები ბევრად მეტი იყო, ვიდრე მხოლოდ კვირეულის ჩაშლა. კამპანია თავისი არსით ლიბერალური იდეოლოგიისა და სახელმწიფოს ევროატლანტიკური კურსის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამას მოწმობს: შეტევა ადამიანის უფლებათა სახლზე, საპროტესტო დემონსტრაციები ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან და ევროკავშირის წარმომადგენლობასთან. აქციას ორგანიზებას უწევდნენ ის ჯგუფები, რომლებიც დაარსების დღიდან აკეთებდნენ ანტიდასავლურ და პრორუსულ განცხადებებს.

„ეს არ არის უბრალოდ პრაიდი მხოლოდ პრაიდისთვის. ეს არის პოლიტიკური შეტევის მორიგი ფორმა, იმ მოცემულობაში, როცა ლიბერალური გლობალიზმი სერიოზულ კრიზისშია და რეგიონში კვდება დასავლეთის გავლენები" (განცხადება გაკეთდა „ალტ-ანალიტიკის" ეთერში).

ორგანიზატორთა პოლიტიკური იდეოლოგიიდან, მათი საქმიანობიდან და მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ მოძალადეთა კიდევ ერთი სამიზნე ჯგუფი არასამთავრობო სექტორი იყო. თვეების განმავლობაში არ წყდებოდა აგრესიული კამპანია NGO-ების მისამართით. ძალადობრივი და ე.წ. „ფეიკ ნიუსებზე" დაფუძნებული კამპანია 5 ივლისს, არასამთავრობო ორგანიზაციების ოფისებზე (მათ შორის, მოძრაობა „სირცხვილიას" ოფისზე) თავდასხმით დასრულდა.

განსაკუთრებული აგრესია იყო მიმართული ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისა და მათი მხარდამჭერების მისამართით, რომელიც უფრო ინტენსიური გახდა მაშინ, როდესაც 15-მა პოლიტიკურმა პარტიამ (ევროპული საქართველო, ნაციონალური მოძრაობა, მოძრაობა ლელო, გირჩი - მეტი თავისუფლება და ა.შ.), უმცირესობათა უფლებების შესახებ სოლიდარობის ნიშნად, ხელი მოაწერა მემორანდუმს.[35] გარდა 5 ივლისამდელი განცხადებებისა, პოლიტიკური პარტიების წინააღმდეგ მიმართულ ანგარიშსწორებაზე მეტყველებდა 5 ივლისს განვითარებული მოვლენებიც - აგრესიულად განწყობილმა ჯგუფებმა ზურაბ მახარაძის მოწოდებების შემდეგ დაარბიეს რუსთაველის გამზირზე ზემოთ ნახსენები პარტიების მიერ დადგმული საპროტესტო კარვები. *„გაიტანეთ, გაიტანეთ ეს ნაგავი აქედან" (ზურაბ მახარაძე).* ასევე, საყურადღებოა განცხადება, რომელიც 30 ივნისს შოთა მარტინენკომ გააკეთა. მან აღნიშნა, რომ ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა. კონსერვატიული მუხტი პოლიტიკურ მოძრაობაში დაკონვერტირდებოდა, აქციაზე კონკრეტული მოთხოვნები გაჟღერდებოდა, რომლებიც, საბოლოოდ, ახალ პოლიტიკურ დღის წესრიგს ჩამოაყალიბებდა.[36]

*„პრაიდის ნამტვრევებზე დაიწყება ის პირველი, ასე ვთქვათ, გაფორმება კონსერვატიული ფლანგის, როგორც პოლიტიკური ძალის, რომელიც ამ სისტემას დედას *****" - ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის".*

34 იხ. გადაცემა „ალტ-ანალიტიკა" https://cutt.ly/YYy2j00 (დრო 30:44).

35 იხ. მიმართვა https://cutt.ly/WYy2R0n

36 იხ. მიმართვა https://cutt.ly/SYy2Dzw

ოპოზიციურ პარტიებსა და მათ მხარდამჭერებზე აგრესიის წახალისებაში გარკვეული წვლილი შეიტანა მართლმადიდებლური ეკლესიის ზოგიერთმა სასულიერო პირმაც. მაგალითად, 22 ივნისს, მეუფე სპირიდონმა, ერთი მხრივ, საზოგადოებას მოუწოდა ძალადობრივ აქციაში ჩართვისკენ და, მეორე მხრივ, თავის ეპარქიაში ლგბტქ+ მოძრაობის მხარდამჭერი პარტიების წევრების ზიარება აკრძალა.[37]

> *„ადამიანები, რომლებიც ამ ცოდვაში არიან და ადამიანები, რომლებიც მხარს უჭერენ მათ, ვერაფერი ვერ აცხონებთ მათ - თუ არ შეინანეს, რა თქმა უნდა, მათი ზიარება არ შეიძლება. ჰომოსექსუალიზმი რელიგიაა ფაქტიურად დღეს, სატანის რელიგიაა და მათი მხარდამჭერები არიან სატანის თაყვანისცემები, ამიტომ მე ღვთისგან მოცემული ძალაუფლებით ჩვენ ეპარქიაში კატეგორიულად გიკრძალავთ ზიარებას იმათსას, ვინც არიან იმ პარტიის წევრები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ჰომოსექსუალისტებთან კავშირს, მათ უნდა შეინანონ, მათ უნდა გამოვიდნენ იმ პარტიიდან“.*

ყველასათვის ცნობილია, რომ 5 ივლისის მოვლენები ჟურნალისტებზე მასობრივი თავდასხმების ფონზე წარიმართა. დაშავდა 50-ზე მეტი ჟურნალისტი. 19 ივნისს, „ალტ-ანალიტიკის“ ეთერში, ზურაბ მახარაძის მიერ გაკეთებული განცხადება გვაძლევს ლოგიკურ საფუძველს იმის სავარაუდოდ, რომ ძალადობრივი ჯგუფების კიდევ ერთი სამიზნე მედიასაშუალებები იყო და ჟურნალისტებზე თავდასხმა წინასწარ იყო დაგეგმილი და ორკესტრირებული.[38]

> *1) „ხომ არ არის დასაშვები, ესეთი ჟურნალისტების წიხლისქვეშ გაგდება? უბრალოდ კითხვებს ვსვამ. მარეგულირებლის გასაგონად, მე უბრალოდ კითხვებს ვსვამ. ხო არ არი აი ამათი სახით ასვალტზე თრევა სწორი პოლიტიკა?...“[39]*

> *2) „მე დღეიდან მაგ მეთოდს ჩვენთან ვნერგავ. ვინმემ რომ არ წარმოიდგინოს, რომ ჩვენ კანონსაწინააღმდეგო ქმედებების პროპაგანდას ვეწევით, აწი მე დავსვავ ხოლმე კითხვებს, რო აი, ხო არ არის საჭირო, მაგალითად, რომ ნიკა გვარამიას ******** ...“.[40]*

რომ შევაჯამოთ, პრაიდის წინააღმდეგ მიმართული აქცია, რომლის მიზანიც თითქოს ლგბტქ+ თემის მიერ დაგეგმილი ღირსების მარშისთვის ხელის შეშლა იყო, რეალურად ემსახურებოდა არა მხოლოდ პრაიდის კვირეულის ჩაშლას, არამედ სხვა სამიზნე ჯგუფების წინააღმდეგ ორგანიზებულ თავდასხმასაც. ფაქტობრივ მოვლენებზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ ძალადობრივი ჯგუფების მთავარი ორგანიზატორები საზოგადოების აგრესიას მიმართავდნენ როგორც ლგბტქ+ თემისა და მისი მხარდამჭერების, ისე ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის წარმომადგენლებისა და ზოგადად, სახელმწიფოს პროდასავლური კურსის წინააღმდეგ. ისინი საზოგადოების, ერთი მხრივ, საკუთარ მომხრეებად, ხოლო მეორე მხრივ - მტრებად პოლარიზებას ცდილობდნენ.

37 იხ. ვიდეო https://cutt.ly/JYy2Lac

38 იხ. ვიდეო https://cutt.ly/bYy28nm (დრო 1:14:52).

39 იქვე.

40 იქვე.

1.4 როგორ მოახერხეს მხარდამჭერების მოგილიზება და კონსოლიდაცია

მობილიზაციის ნაწილში ორგანიზატორთა მთავარი „იარაღია“ კონსტანტინე მორგოშიას მიერ რეგისტრირებული ორგანიზაცია „ალტ-ინფო“, რომლის საშუალებითაც გადაცემა „ალტ-ანალიტიკა“ ყოველკვირეულად წერს და აქვეყნებს ვიდეოჩანაწერებს. მისი მთავარი ბირთვი/წამყვანები - ზურა მახარაძე, შოთა მარტინენკო, ირაკლი მარტინენკო და გიორგი ქარდავა არიან. მათ პირდაპირი ეთერის მეშვეობით არაერთხელ მოუწოდეს მაყურებელს ძალადობრივ აქციაში ჩართვისა და მონაწილეობისკენ. ჯერ კიდევ 17-19 ივნისიდან მოუწოდებდნენ დაინტერესებულ პირებს ტელ. 511 180 116 ნომერზე დაერეკათ ან მიეწერათ მოკლე ტექსტური შეტყობინება,[41] სადაც მათი სახელი და გვარი იქნებოდა მითითებული, რათა შემდეგში, სწრაფი რეაგირებისთვის ერთიანი საორგანიზაციო ჯგუფი შეექმნათ. ეს ჯგუფი მართლაც შეიქმნა, ისევე როგორც სხვა, შედარებით დიდი ჯგუფები Telegram და Viber აპლიკაციებში.





ძალადობრივი ჯგუფები ასევე აქტიურად იყენებენ Youtube არხს, მისი მეშვეობით გადიან პირდაპირ ეთერში და მათ თანამოაზრეებს ლაივ რეჟიმში ეძლევათ გადაცემების ყურების და კომენტარების სახით კითხვების დასმის საშუალება. როგორც ცნობილია, Facebook ადმინისტრაცია „ალტ-ინფოს“ და მასთან დაკავშირებულ სხვა გვერდებს უბლოკავს როგორც პირად, ისე საჯარო გვერდებს, რის გამოც ამ კონკრეტულ სოციალურ ქსელს ისე აქტიურად ვერ იყენებენ, როგორც, მაგალითად, Telegram, Youtube და Viber აპლიკაციებს.

41 https://cutt.ly/wYy9iWY (დრო 6:00).



ბოლო პერიოდში ორგანიზატორებმა დაიწყეს Tik-Tok აპლიკაციის გამოყენება, რომლის მეშვეობითაც, მაგალითად, ზურაბ მახარაძემ საკუთარ გვერდზე არაერთი განცხადება გამოაქვეყნა.[42]

როგორც ცნობილია, „ალტ-ინფოს“ ჯერჯერობით არ აქვს ტელევიზიის სახე, ამიტომ, მათმა თანამოაზრეებმა ჩანაწერების ყურება რომ შეძლონ, უწევთ საკუთარი გადაცემები Facebook და Youtube ქსელებში განათავსონ. ძირითადად მაინც Youtube არხს იყენებენ, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, Facebook ადმინისტრაცია ხშირ შემთხვევაში ბლოკავს და აუქმებს მათ Facebook გვერდებს.

42 https://cutt.ly/xYy9WOV

Youtube არხზე ვიდეოს განთავსების შემდეგ, უკვე შექმნილ Viber და Telegram ჯგუფებში გადააქვთ საკუთარი ვიდეომასალა, რათა თანამოაზრეებმა ნახონ და მოისმინონ მათი განცხადებები.





ძალადობრივ აქციებამდე და მის შემდეგაც, „ალტ-ინფოს“ ეს 4 კონკრეტული სოციალური გვერდი/აპლიკაცია აქტიურად გამოიყენება.

ფეისბუქ აპლიკაციასთან ერთად, ტელეგრამის ჩატს იყენებდა „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოებაც“.

ნაწილი II - ვინ იყო ჩართული 5 ივლისის მოვლენებში?

2.1 ძალადობრივი ჯგუფების ორგანიზატორები და მათი კავშირები

5 ივლისის ძალადობრივი აქციის ორგანიზატორთა შორის იყვნენ ორგანიზაცია „ალტ-ინფო“, „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება“, დიმიტრი ლორთქიფანიძე, ზვიად ტომარაძე, „ქართული იდეა“. სწორედ ეს ჯგუფები იყვნენ მთავარი ორგანიზატორები, რომლებმაც დაგეგმეს და ჩაიდინეს 5 ივლისის ძალადობა.

აღსანიშნავია ყველა ამ პირისა და ორგანიზაციის კავშირები ერთმანეთთან, საქართველოს მოქმედ მთავრობასთან და რუსეთის ფედერაციასთან. მათ შორის ამგვარი კავშირები ამყარებს ეჭვს, რომ მთელი ეს პროცესები სწორედ რუსეთის ფედერაციისა და მოქმედი ხელისუფლების მიერ იყო დაგეგმილი და ხელშეწყობილი. მითუმეტეს, თუ გავიხსენებთ ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებებს, რომლებიც ერთი ერთში ემთხვეოდა ძალადობის ორგანიზატორთა განცხადებებს:

> *„მე მაქვს ჩემი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ და მე მგონია, რომ სრული კონტექსტის გათვალისწინებით, ამ ადამიანებს უარი უნდა ეთქვათ ამ ღონისძიების ჩატარებაზე...“ - ირაკლი კობახიძე*

მაგალითად, „ალტ-ინფოს“ 50-50%-იან წილებს ფლობენ შოთა მარტინენკო და ციალა მორგოშია. შოთა მარტინენკო „ალტ-ინფოს“ გადაცემების წამყვანია. ის გამოირჩევა ანტიდასავლური და ჰომოფობიური რიტორიკით, *მაგალითად - „არ არსებობს რაღაც ევროპული მომავალი საქართველოში... აქ არსებობს ან ისლამიზაციის ვერსია ან რუსული გავლენის ზონა - ეგ უნდა აირჩიო... მხოლოდ ეს ორი ძალა (რუსეთი და თურქეთი) გადაწყვეტს ყველაფერს აქ (საქართველოში) რა მოხდება. დასავლეთი უბრალოდ ჩართვასაც ვეღარ მოახერხებს“, - ამბობდა ის „ალტ-ინფოს“ ეთერში.*[43]

შოთა მარტინენკო პრორუსული პარტიის ლიდერის, ირმა ინაშვილის ნათესავი[44] და მისი აქტიური მხარდამჭერია .ის აგრეთვე იყო 2019 წელს კობა დავითაშვილის წარმდგენი საინიციატივო ჯგუფის წევრი.

ციალა მორგოშია ბიზნესმენ კონსტანტინე მორგოშიას მამიდაა, რომლის სახელზეც ფორმალურად აფორმებს[45] ორგანიზაციებსა და კომპანიებს. მორგოშია მთავრობასთან დაახლოებული ბიზნესმენია. მას ასიათასობით ლარის უძრავი ქონება აქვს სიმბოლურ ფასად მიღებული სახელმწიფოსგან. კონსტანტინე მორგოშია წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში სახელმწიფო ქონების მითვისებისა და თაღლითობის ბრალდებით იყო დაკავებული. მორგოშიას ადვოკატი იყო და მის უფლებებს იცავდა უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი მამუკა მდინარაძე.

2016 წელს, როდესაც პრორუსული პარტიის, „პატრიოტთა ალიანსის“ მაჟორიტარობის კანდიდატი იყო მცხეთაში, თავისი ცოლისა და ძმის სახელით პარტიას 91,000 ლარი

43 https://cutt.ly/DYcOh3I

44 https://cutt.ly/RYcOxDs

45 https://cutt.ly/fYcOQ1j

შესწირა[46]. ამის შემდეგ მან დატოვა პარტია და 2018 წელს აფინანსებდა „ქართულ მარშს“, რომელიც 2020 წელს ესტონეთის სადაზვერვო სამსახურმა რუსეთიდან დაფინანსების მიღებაში ამხილა[47].

მოგვიანებით მან „ქართული მარშიც“ დატოვა და დააფუძნა ორგანიზაციები „ალტერნატივა საქართველოსთვის“ და „ალტ-ინფო“, რომლებიც იყვნენ 5 ივლისის აქციის მთავარი ორგანიზატორები.

სწორედ მორგოშიას მოწოდების შედეგად დაარბიეს „სირცხვილიას“ ოფისი, და სცემეს ოპერატორი ლექსო ლაშქარავა, რომელიც 5 დღეში გარდაიცვალა.

რაც შეეხება „ალტ-ინფოს“ ერთ-ერთ წამყვანს და მთავარ სახეს, ზურაბ მახარაძეს, რომელიც განსაკუთრებული აგრესიითა და აქტიურობით გამოირჩეოდა 5 ივლისის პროცესებში, ის საჯაროდ პირველად 2012 წელს გამოჩნდა, როდესაც მისი ერთ-ერთი ორგანიზაციის, „ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია შავფაროსნების“ წევრებთან ერთად ბიძინა ივანიშვილს შეხვდა და მასთან სამახსოვრო ფოტოც გადაიღო[48].

2014 წელს მახარაძემ ქართულ ოცნებას 200 ლარი შესწირა. 200 ლარი შესწირა[49] მმართველ პარტიას მისმა პარტნიორმა ირაკლი ქოქოსაძემაც, რომელთან ერთადაც მახარაძე 4 კომპანიაში ფიგურირებს: შპს „კავკასიის საექსპორტო კომპანია“; „ახალგაზრდული ორგანიზაცია შავფაროსნები“; „ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია შავფაროსნები“ და შპს Art-M Travel.

2019 წლის მთაწმინდის შუალედურ არჩევნებზე, მახარაძე მაჟორიტარობის კანდიდატ კობა დავითაშვილის წარმდგენი საინიციატივო ჯგუფის[50] წევრი იყო.

რაც შეეხება ირაკლი ყიზილაშვილს, ის შოთა მარტინენკოს ძმაა, რომელსაც აგრეთვე მიჰყავს გადაცემა „ალტ-ინფოზე“, სადაც ევროსკეპტიკურ და პრორუსულ განცხადებებს აჟღერებს. ის, თავისი ძმის მსგავსად, პრორუსული პარტიის ლიდერის, ირმა ინაშვილის ნათესავია.

რაც შეეხება „ალტინფოს“ კიდევ ერთ წამყვანს, გიორგი ქარდავას, ის რუსეთისა და საქართველოს ორმაგი მოქალაქეა[51] და თანაწამყვანების მსგავსად, აქტიურად აჟღერებს ანტიდასავლურ და პრორუსულ მოწოდებებს. „ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც ორგანულად, კატასტროფულად არ აწყობს საქართველოს გაქრობა, არის სწორედ რუსეთი“ - განაცხადა მან „ალტ-ინფოს“ ეთერში.

5 ივლისის აქციის კიდევ ერთი ორგანიზატორი იყო დიმიტრი ლორთქიფანიძე. ის წლების განმავლობაში იყო ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიული მოძრაობის“ წევრი. 2018 წელს მან პარტია დატოვა და პრიმაკოვის ფონდის[52] დირექტორი გახდა.

თავის მხრივ, ეს ფონდი 2013 წელს დაარსდა საქართველოში, მისი ერთ-ერთი დამაარსებელი

46 https://cutt.ly/nYcOYi0

47 https://cutt.ly/pYcODQO

48 https://cutt.ly/dYcOKFQ

49 https://cutt.ly/WYcO0aW

50 https://cutt.ly/yYcO4pL

51 https://cutt.ly/dYcPqPF

52 https://cutt.ly/JYcPotY

კი, უკრაინაში მოღვაწე გორჩაკოვის ფონდი იყო. შემდგომში გორჩაკოვის ფონდს უკრაინაში მოღვაწეობა აეკრძალა, ვინაიდან უკრაინის უსაფრთხოებისთვის საფრთხედ იქნა მიჩნეული (გორჩაკოვის ფონდი 2010 წელს რუსეთის მაშინდელი პრეზიდენტის, დიმიტრი მედვედევის ბრძანებით, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შექმნა).

პრიმაკოვის ფონდი რუსული რბილი ძალის ტიპური წარმომადგენელია საქართველოში, რომელიც ცდილობს ახალგაზრდებში რუსეთის მიმართ სენტიმენტები გააჩინოს და ანტიდასავლური ნარატივები გააღვივოს.

აქციის კიდევ ერთი ორგანიზატორი იყო ზვიად ტომარაძე, რომელიც რუსეთთან და-კავშირებულ დიმიტრი ლორთქიფანიძესთან, სანდრო ბრეგაძესთან და ლევან ვასაძესთან ერთად, არაერთი პეტიციის თანაავტორია[53], მაგალითად, საგნის, „მე და საზოგადოება“ სასწავლო პროგრამებში დანერგვის წინააღმდეგ პეტიცია მან დიმიტრი ლორთქიფანიძესთან ერთად შეადგინა, სანდრო ბრეგაძესთან ერთად ქორწინების საკითხზე რეფერენდუმის გამართვის ინიციატორი იყო, ხოლო ლევან ვასაძესთან ერთად კაზანტიპის საწინააღმდეგო პეტიციის თანაავტორი იყო. აქტიურად თანამშრომლობდა პრორუსული პარტიის დეპუტატთან, ემზარ კვიციანთან, რომელთან ერთადაც 3 საკანონმდებლო ინიციატივა მოამზადა. მიზანმიმართულად ავრცელებდა დეზინფორმაციასაც[54] დასავლეთის დისკრედიტაციისა და პრორუსული ნარატივების გასატარებლად. 25 ივნისს ასევე ესწრებოდა მცხეთის ერთ-ერთ სასტუმროში 5 ივლისის აქციის ორგანიზატორების შეკრებას და აქტიურად იყო ორგანიზების პროცესში ჩართული.

აქციის ორგანიზატორთა შორის გამორჩეული ადგილი ეკავათ მამა-შვილ გურამ და ალექსანდრე ფალავანდიშვილებს. ისინი ორი ორგანიზაციის, „ქართული იდეისა“ და „ბავშვთა უფლებათა დაცვის საზოგადოების“ სახელით აქტიურად ეწევიან ანტიდასავლურ, ჰომოფობიურ და ქსენოფობიურ პროპაგანდას. 5 ივლისის წინა დღეებში სწორედ გურამ ფალავანდიშვილი იყო, ვინც 5 ივლისის დღეს მსხვერპლს აანონსებდა.

აღსანიშნავია მათი კავშირი ნინო ბურჯანაძის პარტიასთან. 2016 წელს, ალექსანდრე ფალავანდიშვილმა ნინო ბურჯანაძის პარტიას 4,000 ლარამდე შესწირა[55], ხოლო 2020 წელს - 8,300 ლარი შესწირა პარტია „ქართულ იდეას”, რომლის სიის პირველი ნომერიც მამამისი იყო, ხოლო თავად მე-6 იყო სიაში.

2021 წლის 16 ივლისს, პოლიციამ საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარა იმ პირთა ბინებში, რომლებიც 5 ივლისს ჰომოფობიური აქციის ორგანიზებაში იყვნენ ჩართულნი. ამავე დღეს, აქციის ორგანიზატორები: **ზურაბ მახარაძე, შოთა მარტინენკო, ირაკლი ყიზილაშვილი, კონსტანტინე მორგოშია, ალექსანდრე ფალავანდიშვილი, გურამ ფალავანდიშვილი, გიორგი ქარდავა, თემურ ბოკელავაძე, რამაზ გაგნიძე, ბექა ბერიშვილი, ლევან ჩაჩუა, გიგა გიმზერიძე, ონისე ბრეგვაძე, ელგუჯა იაშაღაშვილი, გიორგი მახარაშვილი, ონისე ბერაძე, ბექა ბრეგვაძე და ზურა არველაძე** გამოიკითხნენ პოლიციის განყოფილებაში. თუმცა, მიუხედავად არაერთი ვიდეომტკიცებულებისა, სადაც აქციის ორგანიზატორები პირდაპირ მოუწოდებდნენ მოქალაქეებს ძალადობისკენ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ დრომდე სხვა სახის რეაგირება არ ჰქონია.

53 https://cutt.ly/2YcPhPQ

54 https://cutt.ly/vYcPbsJ

55 https://cutt.ly/mYcPQMa

დასკვნა:

საბოლოო ჯამში, მკაფიოდ იკვეთება, რომ 5 ივლისის აქციის ყველა ძირითადი ორგანიზატორი რაიმე ტიპის კავშირში იმყოფება რუსეთის ფედერაციასთან, საქართველოში მოქმედ პრორუსულ ჯგუფებთან ან მოქმედ მმართველ პარტიასთან.

მათი ამგვარი კავშირების არსებობა, შესაძლოა, ხსნიდეს იმას, თუ რატომ არ არის არცერთი მათგანი დაკავებული ამჟამად, რატომ იყო პოლიცია პრაქტიკულად უმოქმედო 5 ივლისის დღეს და რატომ გადასცემდა რუსული ტელევიზიები პირდაპირ ტრანსლაციას 5 ივლისის ძალადობრივი აქციის დროს.[56]

2.2 ძალადობრივი ჯგუფების წევრები

2021 წლის 5 ივლისის მოვლენებს, საკუთარ ავტორებთან ერთად, შემსრულებლებიც ჰყავდა. აქციამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე, ორგანიზატორები, მხარდამჭერთა მობილიზებისა და აქციის მიმდინარეობისას ეფექტიანი კოორდინირების მიზნით, საქართველოს რეგიონებიდან ჯგუფების შექმნას შეუდგნენ. განსაკუთრებით აქტიურობდნენ სვანეთისა და იმერეთის ჯგუფები (მათი წარმომადგენლები, მაგალითად: **ენრი ონიანი, გოგა ფოლადიშვილი, ლაშა ლეკიაშვილი, გიორგი შუქიაური, გიორგი გახოკიძე, დავით კუტალაძე, ბექა ბერიშვილი, ზურაბ არველაძე, დავით ლომსაძე, ერმილე ნემსაძე, ვაჟა გუმბარიძე, რობი გუგუნიშვილი, ნიკოლოზ კვანჭიანი და სხვები,** ჰომოფობიური/ანტიდასავლური მოწოდებებით ან/და ძალადობრივი ქმედებით გამოირჩეოდნენ).

თუმცა, მათთან ერთად, მონაწილეობდნენ ჯგუფები კახეთიდან, რუსთავიდან, სამეგრელოდან, აჭარიდან, სამცხე-ჯავახეთიდან, გურიიდან... და მათ „ალტ-ინფოს“ რეგიონული ლიდერები ხელმძღვანელობდნენ. განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდნენ „ალტერნატივა საქართველოსთვის“ წევრები, ასევე პოლიტიკური მოძრაობა „ერის“ მხარდამჭერები. მონაწილეთა დიდი ნაწილი ქაშუეთის ეკლესიასთან და საკანონმდებლო ორგანოსთან ეკლესიის მოწოდების საფუძველზე მივიდა. აქციას ასევე შემოუერთდნენ „რიონის ხეობის მცველები“ და ჩოხოსნები.

გავრცელებული ფოტო-ვიდეო მასალის დამუშავებისა და სოციალური ქსელების კვლევის პროცესში, შესაძლებელი გახდა ძალადობრივ აქციაში მონაწილე არაერთი პირის ამოცნობა.

5 ივლისის აქციის კოორდინირებაში ჩართული იყო **ნინო ჩქარეული.** ამჟამად ის ფეისბუკის პირად გვერდზე ანტივაქსერულ პროპაგანდას ეწევა.

აქციაზე იმყოფებოდა პოლიტიკური მოძრაობა - „ერთობა, რაობა, იმედის“ აქტიური მხარდამჭერი **ბექა ვარდოსანიძე,** რომელიც ფეისბუკის პირად გვერდსა და ბლოგზე ჰომოფობიური, ანტიდასავლური განცხადებებითა და სიძულვილის ენით გამოირჩევა.

აქციაში მონაწილეობდნენ, ფეიკ-ნიუსებს ავრცელებდნენ ან/და ანტიდასავლურ და ჰომოფობიურ პროპაგანდას ეწეოდნენ: **ცოტნე ჩხეიძე, ლევან მჭედლიშვილი, გიორგი ხვედელიძე, ლაშა ხეცურიანი, გელა გაგუა, დიეგო შამათავა, ლევან სარჯველაძე, გიორგი მენთეშაშვილი, ირაკლი ანთიძე, გიგა ჩაკვეტაძე, გიორგი მახარაშვილი, გიორგი ხაჩიძე,**

56 https://cutt.ly/cYy9MTf

ვახო ბარბაქაძე, დავით ლომსაძე, ლუკა ჩირგაძე, დავით აბჟანიძე, გიორგი გოგია, ბექა ცხადაძე.. ასევე, „ალტერნატივა საქართველოსთვის“ წევრები: **სანდრო ქარდავა, ემრე ქუჩუკი (სურენ დანელიანი), თამუნა კაჭარავა, ირმა გაბრიჭიძე, ირაკლი ანთიძე, გიგა კარბელაშვილი, ზუკა ზუკაკიშვილი, ოთო ზუკაკიშვილი, არსენ ფოფხაძე, ლუკა მაჭარაძე, რამაზ ქათამაძე, გიორგი დადვანი, ელდარ დადვანი, გიორგი ქუთელია, თემო პირველი, გიორგი ანიაშვილი, ზურა ანიაშვილი, მათე ფერაძე, ირაკლი ჩუხუა, გიორგი კოპაძე, დავით სართანია, მათე გიგლემიანი, მერაბ გიგანი, ნოდარ გიგანი, მირიან ბერიძიშვილი, შაკო ქერელაშვილი.**

„სირცხვილიას“ ოფისში შეიჭრა და ლექსო ლაშქარავას გადაღებულ კადრებში ფიგურირებს **პავლე ამირეჯიბი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს ის არც დაუკავებია და როგორც ჩვენთვის ცნობილია, არც გამოკითხვაზე დაუბარებია. იგი ტელეკომპანია „ფორმულას“ მოწმემ ამოიცნო. მოწმე „ფორმულასთან“ საუბარში ამბობს, რომ პავლე ამირეჯიბი სამებასა და დიდუბის ეკლესიაში ჰყავს შენიშნული.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ამ ეტაპზე, 5-6 ივლისს გამართული აქციების მიმდინარეობის დროს ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ძალადობის მუქარით, უკანონოდ ხელის შეშლის, ძალადობითა და ძალადობის მუქარით დევნის, ასევე, ჯგუფური ძალადობის ფაქტებზე სულ დაკავებულია 31 პირი, კერძოდ:

- *ცოტნე ჩიხლაძე*
- *დავით კუტალაძე*
- *გიორგი მაღრაძე*
- *აკაკი ნაკაშიძე*
- *მურად დევლარიშვილი*
- *თემურ ხარაული*
- *ილია ქებაძე*
- *ზაზა ჭაავა*
- *ზაზა მჭედლიძე*
- *თორნიკე დავლაშერიძე*
- *ალიკა ალაზოვი*
- *გიორგი ნასყიდაშვილი*
- *გიორგი ოძელაშვილი*
- *გიორგი ელიზბარაშვილი*
- *რომეო კეკუტია*
- *გია გიგუაშვილი*
- *გიორგი კახიანი*
- *თედო ბურდული*
- *გიორგი წარუაშვილი*
- *ნიკოლოზ გულედანი*
- *ირაკლი ყავლაშვილი*
- *მუხრან დადვანი*
- *თორნიკე გაბლიანი*
- *ბაქარ მაისურაძე*
- *ოთარ გელაშვილი*
- *ვანო ბურდული*
- *უშანგი დათუნაშვილი*
- *ირაკლი წიგნაძე*
- *დავით ქოჩიაშვილი*
- *გენო გერმანიშვილი*

- *ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ძალადობის მუქარით, უკანონოდ ხელის შეშლის, ჯგუფური ძალადობის და ძალადობის მუქარით დევნის ფაქტებზე დააკავეს 27 პირი;*
- *„თბილისი პრაიდის“ ოფისის დარბევისთვის, ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობის, ძალადობით ან ძალადობის მუქარით დევნის, ასევე, ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის ჯგუფურად დარღვევის ფაქტზე დაკავებულია 3 პირი;*
- *ერთი პირი პოლიციამ მოქალაქის მიმართ ჩადენილი ძალადობისთვის დააკავა;*
- *რაც შეეხება 1965 წელს დაბადებულ გ.შ.-ს, პროკურატურა მას საპატრულო პოლიციის ავტომანქანის გვერდითი საქარე მინის დაზიანებას ედავება.*

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, 6 ივლისს თბილისში რადიკალური ჯგუფების მიერ ძალადობის საწინააღმდეგო აქციის „თავისუფლებისთვის“ წინააღმდეგ ორგანიზებულ კონტრაქციაზე სამართალდამცავებმა ადმინისტრაციული წესით 100 პირი, 2 კი – სისხლის სამართლებრივი წესით დააკავეს. ადმინისტრაციული წესით დაკავებული 100 პირიდან 68 ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლეს, 32 კი – დროებითი მოთავსების იზოლატორში რჩებოდა (ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირთა შორის იყვნენ გიორგი ასათიანი, გიორგი ჭელიძე, სოსო შაოშვილი („ერის“ მხარდამჭერი)..).

აღსანიშნავია, რომ ბრალდებულთა მიერ სასამართლოზე გაკეთებული განცხადებები ძალიან ჰგავდა ერთმანეთს. 5 ივლისს დაკავებულთა უმეტესობა სასამართლო სხდომაზე ამბობდა, რომ პრაიდის საწინააღმდეგოდ გამართულ აქციაში ეკლესიის მოწოდებითა და კურთხევით მონაწილეობდა. მათი დიდი ნაწილი მოსამართლესთან საუბრისას აღნიშნავდა, რომ არავითარი საწინააღმდეგო ჟურნალისტებისა და ლგბტქ+ თემის მიმართ არ ჰქონია. ასევე, ბრალდებულები უარყოფდნენ რაიმე სახის ძალადობრივი ქმედების ჩადენას, ზოგიერთმა მათგანმა კი ჩადენილი ძალადობა შემთხვევითობას მიაწერა. მაგალითად, ზაზა მჭედლიძის განცხადებით, მან დროშის ტარი მოიქნია და კამერას შემთხვევით მოარტყა,[57] ზაზა ჭაავამ, რომელიც როგორც გავრცელებულ კადრებში ჩანს, ჟურნალისტებს მოტოციკლით ეჯახება,[58] განაცხადა, რომ მოტოციკლზე ხელი გაეშვა და საქე ვერ დაიმორჩილა,[59] გიორგი ელიზბარაშვილი კი, რომელიც „თბილისი პრაიდის“ ოფისში შეიჭრა, აცხადებდა, რომ აივანზე ასვლისას ინერციით დაეჯახა „სტეკლოს“, რის გამოც ხელი გაეჭრა და ოფისში ხელის გადასაბანად შევიდა.[60]

ბრალდებულთა დიდი ნაწილი უმუშევარი ან სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონეა. რამდენიმე მათგანი თბილისში რეგიონიდან ჩამოვიდა აქციაში მონაწილეობის მისაღებად. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, დაკავებულთაგან ორი პირი წარსულში ნასამართლევია.[61]

57 იხ. განცხადება https://cutt.ly/4Yy3qnW

58 იხ. ვიდეოკადრები https://youtu.be/lqFjX5wlXeM

59 იხ. განცხადება https://youtu.be/KG3wdPy3-_0

60 იხ. განცხადება https://cutt.ly/8Yy3u3I

61 https://cutt.ly/aYy3s2v

2.3 ძალადობრივი ჯგუფების მხარდამჭერები

2021 წლის 5 ივლისის დრამატულ მოვლენებს, წინ არაერთი პოლიტიკოსისა და სასულიერო პირის მაპროვოცირებელი განცხადებები უძღოდა. ამ მხრივ, აღსანიშნავი იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის 5 ივლისის დილას გაკეთებული განცხადება, რომელიც არაერთი არასამთავრობო ორგანიზაციისა და პოლიტიკური პარტიის მიერ, ძალადობისთვის ე.წ. მწვანე შუქის ანთებად შეფასდა.

> *„სამწუხაროდ, დღევანდელი აქციის ორგანიზატორების უკან დგანან ისევ რევანშისტული რადიკალური ჯგუფები, კერძოდ რადიკალური ოპოზიცია სააკაშვილის მეთაურობით. ისინი არიან ჩართულები, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ ამას, რომ ისინი უკეთებენ ორგანიზებას აღნიშნულ მარშს და ამ აქციებს და სწორედ მათი მიზანი არის დღეს ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო არეულობის და ქაოსის შემოტანა", - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.*[62]

> *„ისე აღარ იქნება, როცა უმცირესობა წყვეტდა ყოველთვის უმრავლესობის ბედს. როცა მათი ძალადობრივი ხელწერით ნებისმიერ გადაწყვეტილებას ღებულობდნენ საქართველოში (12 ივლისი, ირაკლი ღარიბაშვილი).* [63]

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო 18 ივნისს, ირაკლი კობახიძის მიერ გაკეთებული განცხადება. „ტვ პირველის" ეთერში, მმართველი პარტიის, „ქართული ოცნების" თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ, განაცხადა: *„მე მაქვს ჩემი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ და მე მგონია, რომ სრული კონტექსტის გათვალისწინებით, ამ ადამიანებს [ლგბტქ+ თემს] უარი უნდა ეთქვათ ღონისძიების ჩატარებაზე".*[64]ტელეწამყვან ინგა გრიგოლიას კითხვაზე, უგორებს თუ არა კოჭს ამ განცხადებით ეკლესიასა და ლევან ვასაძეს, კობახიძე პასუხობს: *„ეკლესიას ჩემი კოჭის გაგორება არ სჭირდება, იმედია, ეკლესია მე გამომიგორებს კოჭს".*[65]

განცხადება გააკეთეს „პატრიოტთა ალიანსის" ლიდერებმაც. დავით თარხან-მოურავის აზრით, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის ფსევდოლიბერალური ორგანიზაციები ებრძვიან. ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაში თარხან-მოურავმა დაადანაშაულა USAID-ი, პრეზიდენტ ბაიდენის ადმინისტრაცია და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი. ირმა ინაშვილმა მოვლენები ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლად შეაფასა.

ეკლესიის დისკრედიტაციის მცდელობა დაარქვა „თბილისი პრაიდის" მიერ დაანონსებულ აქციას „ქართული მარშის" ერთ-ერთმა ლიდერმა, სანდრო ბრეგაძემ. მისი აზრით, „ღირსების მარში" ხელოვნურად დაიგეგმა სახალხო დამცველის - ნინო ლომჯარიას, პოლიტიკური პარტიებისა და ლგბტქ+ თემის მიერ.

საყურადღებოა, რომ 5 ივლისის მოვლენებს დადებითად აფასებდა კრემლთან და

62 იხ. ღარიბაშვილის განცხადება მთავრობის სხდომაზე https://cutt.ly/SYy3xxR

63 იხ. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება https://cutt.ly/8Yy3DVe

64 იხ. ირაკლი კობახიძის ინტერვიუ http://go.on.ge/2alu

65 იხ. ირაკლი კობახიძის ინტერვიუ https://cutt.ly/YYy3LXo

რუს სამხედრო წრესთან დაახლოებული პირი, სახელმწიფო დუმის სპიკერის, გენადი სელეზნიოვისა და პარტია „ერთიანი რუსეთის“ წევრის, სერგეი ნარიშკინის ყოფილი მრჩეველი - ალექსანდრე დუგინი. დუგინს, რომელიც ნაციონალურ-ბოლშევიკური პარტიის, ნაციონალურ-ბოლშევიკური ფრონტისა და ევრაზიული პარტიის მთავარი სულისჩამდგმელი იყო, მეგობრული ურთიერთობა აქვს პოლიტიკური მოძრაობა „ერის“ დამფუძნებელთან, ლევან ვასაძესთან. ის ასევე არაერთხელ ყოფილა მოწვეული სტუმრის სტატუსით „ალტ-ინფოს“ გადაცემებში და ხშირად აზიარებს ფეისბუკის პირად გვერდზე „ალტ-ინფოსა“ და მათ მხარდამჭერთა განცხადებებს. დუგინი ფეისბუკ პოსტით შემდეგნაირად გამოეხმაურა საქართველოში მიმდინარე მოვლენებს: ქართველები, თავიანთი გმირული მოქმედებით მსოფლიო ბალანსს ჩვენს სასარგებლოდ ცვლიან (ორიგ: Georgians by their heroic action are changing the world balance - touching the scale to our side).

რაც შეეხება ევროკავშირის დროშის ვანდალურად დაწვის ფაქტს, დუგინმა ის ასე შეაფასა - *Georgia I admire* (ქართ: საქართველო, რომლითაც აღტაცებული ვარ).

რუსმა ულტრანაციონალისტმა და ფილოსოფოსმა ასევე გააზიარა „ერთობა, რაობა, იმედი“-ს მხარდამჭერის, შოთა მამულაშვილის (რომელმაც დემონსტრაციულად დაწვა ევროკავშირის დროშა) პოსტი წარწერით - *„5 ივლისი ქართველი ხალხის გაღვიძების დღეა“.*

5 ივლისის მოვლენებიდან მალევე, „ალტ-ინფოს“ ინტერვიუ ჰქონდა ევრაზიული ეკონომიკური კომისიის მინისტრ სერგეი გლაზიევთან. სერგეი გლაზიევს აქტიური კავშირი აქვს ვლადიმერ პუტინთან.[66]

5 ივლისის ძალადობრივი აქციის მომზადებასა და განხორციელებაში აღსანიშნავია საპატრიარქოსა და მასზე დაქვემდებარებული სასულიერო პირების როლიც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 29 ივნისს, საპატრიარქომ გაავრცელა პირველი განცხადება, სადაც ის „ღირსების მარშის“ გაუქმებას ითხოვდა მისი ორგანიზატორებისგან და დასავლელი ელჩების პოზიციას პრაიდის ჩატარების თაობაზე, მწვავედ აკრიტიკებდა. ვინაიდან ამ განცხადებას რეაგირება არ მოჰყოლია, 3 ივლისს საპატრიარქომ „ღირსების მარშის“ პარალელურად ქაშუეთის წინ აქცია დააანონსა პარაკლისის გადახდის მიზნით. საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებული არაერთი სასულიერო პირი, აქციის ორგანიზატორებთან ერთად, პირადად ჩაერთო ხალხის მობილიზაციის პროცესში.

მეუფე იოანე გამრეკელი - ქუთათელ-გაენათის ეპარქიის წინამძღოლი უშუალოდ მონაწილეობდა 5 ივლისის აქციაში. მის თვალწინ გაუსწორდნენ ფიზიკურად „ფორმულას“ ჟურნალისტს, რატი წვერავას,[67] თუმცა მომდევნო დღეებში ირწმუნებოდა, რომ რატი

66 იხ. „ალტ-ინფოს“ ინტერვიუ სერგეი გლაზიევთან https://cutt.ly/LYy34KX

67 იხ. სიუჟეტი https://cutt.ly/8Yy8yyv

წვერავამ თავისით შემოიხია პერანგი და ჟურნალისტის მიმართ ძალადობას ადგილი არ ჰქონია.[68] იოანე გამრეკელი ასევე დაემუქრა „მთავარი არხის“ ჟურნალისტს, ირაკლი ვაჩიბერიძეს ფიზიკური ანგარიშსწორებით და ახსენებდა წარსულ ფაქტს, როდესაც ვანისა და ბაღდათის მეუფე ანტონი მას ფიზიკურად გაუსწორდა. აღსანიშნავია ისიც, რომ მეუფე იოანე გამრეკელი გამოირჩევა პრორუსული განცხადებებით და ზოგიერთი თეოლოგის შეფასებით, მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთ მთავარ, ქუთათელ-გაენათის (გელათის) ეპარქიაში მიტროპოლიტ იოანე გამრეკელის დანიშვნა, რუსეთ-საქართველოს ისტორიის გამრეკელისეული ინტერპრეტაციისა და პრორუსული ხედვის გათვალისწინებით, ეკლესიის წიაღში არსებული პრორუსული განწყობების გაძლიერებას ნიშნავდა.[69]

ბერ-დიაკვანი ნიკოლოზ კუპრეიშვილი (ერისკაცობაში პაატა კუპრეიშვილი) - 5 ივლისს თბილისში აბაშიდან ჩამოვიდა. ჟურნალისტ მირანდა ბაღათურიას ინფორმაციით, კუპრეიშვილი მას ფიზიკურად გაუსწორდა „სირცხვილიას“ ოფისის სადარბაზოში. დიაკვანი ასევე ფიგურირებდა რუსთაველის გამზირზე გადაღებულ კადრებში. თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტროს ის ამ დრომდე არ დაუკითხავს. რუსთაველის გამზირზე განვითარებულ მოვლენებამდე, მამა ნიკოლოზი მედიის წინააღმდეგ იდგა ჭყონდიდის ეპარქიაშიც. მაშინ, როდესაც დაპირისპირების დროს, მეუფეს რეზიდენციის მეორე სართულიდან რამდენიმე ჟურნალისტი გადმოვარდა. მამა ნიკოლოზი ჟურნალისტებს დაუპირისპირდა მაშინაც, როცა ბზობის დღესასწაულზე სასულიერო პირებმა იჩხუბეს. დიაკვანი პოლიციაში დაიკითხა.

დეკანოზი სპირიდონ ცქიფურიშვილი - ვარდიგორის მამათა მონასტრიდან (თერჯოლა), ასევე მონაწილეობდა მრევლის შეკრებაში. აქციის დღეს კი, შეკრებილებს ღიად მოუწოდებდა ძალადობისკენ, რის გამოც, სახალხო დამცველმა, ზურაბ მახარაძესთან ერთად, მის მიმართაც მოითხოვა სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება.

მეუფე ანტონ ბულუხია - ვანისა და ბაღდათის ეპარქიის ხელმძღვანელი 5 ივლისის ძალადობრივი აქციის აქტიური მხარდამჭერი და წამახალისებელი იყო. მომდევნო დღეებშიც გამოირჩეოდა ჟურნალისტების მიმართ სიძულვილის ენით.[70]

„ქართული იდეის“ თავმჯდომარესთან და 5 ივლისის აქციის ერთ-ერთ ორგანიზატორთან - ლევან ჩაჩუასთან ერთად აქციაზე იმყოფებოდა არქიმანდრიტი კირიონ ონიანიც (დავით გარეჯას ლავრა). ხოლო „ალტ-ინფოს“ ლიდერებთან ერთად წინა ხაზზე იდგა მამა მოსე ჭელიძე (თბილისი, მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ტაძარი). მამა მოსე ჭელიძე აქამდეც გამოირჩეოდა პრორუსული გზავნილებით („ქართველი ერი რუს ერთან ერთად შევხვდებით ქრისტეს'', - ამბობდა ის 2019 წელს).

ფეისბუკით მრევლს შეკრებისკენ მოუწოდებდა მამა გაბრიელ ჩადუნელიც (რუის-ურბნისის ეპარქია, ძამას ხეობა). ის აქციაზე საპატრიარქოს ჩოხოსნებთან ერთად იდგა („არავინ არ გჩაგრავთ თქვენსავე სახლებში. ქუჩაში კი არასოდეს მოგეცემათ უფლება ბიწიერების პროპაგანდისა. ქუდზე კაცი 5 ივლისს“.).

მართლმადიდებლური ეკლესიის სამღვდელოების გარკვეული ნაწილი რომ აქტიურად იყო ჩართული 5 ივლისის აქციაზე მრევლის მობილიზების პროცესში, ამას ადასტურებს თელეთის ხარების ტაძრის წინამძღვრის, დეკანოზ ბასილ იაშაღაშვილის განცხადება.

68 იხ. ვიდეო https://cutt.ly/UYy8nbj

69 იხ. სტატია https://cutt.ly/4Yy8g5B

70 https://cutt.ly/FYy8U80

მან მედიაჰოლდინგ „კვირას“ პრესკლუბში გამართულ კონფერენციაზე განაცხადა, რომ სასულიერო პირები ყველა რაიონიდან მოდიოდნენ, რათა როგორმე ლგბტქ+ პრაიდს წინ აღდგომოდნენ. „მე როგორც ვიცი, სასულიერო პირები ყველა რაიონიდან მოდიან, რომ როგორმე აქციას წინ აღუდგნენ. ეს იქნება მშვიდობიანი ფორმით. ყველა ადამიანს თავისებური შინაგანი განწყობა აქვს. შეიძლება, ვიღაც მივიდეს, მათ პლაკატი წაართვას, შეიძლება, ვიღაცამ არ წაართვას და ისე იდგეს აქციაზე. გარყვნილების პლაკატი რომ უკავია ადამიანს, ვიღაც მივა და წაართმევს ისე, რომ არ სცემს და დაარტყამს, ვფიქრობ, ეს ძალადობა არაა“.

სოციალურ ქსელში გავრცელებულ ფოტოებზე „ალტერნატივა საქართველოსთვისა“ და „ქართული იდეის“ ლიდერებთან ერთად დგანან ასევე:

- *მამა საბა ჭიკაიძე - თბილისის ვაკის მაცხოვრის ფერისცვალების ტაძარი*
- *დეკანოზი შალვა კეკელია - თბილისის ვაკის მაცხოვრის ფერისცვალების ტაძარი*
- *მამა დავით რუხაძე - საბურთალოს სულთმოფენობის ტაძარი*
- *დეკანოზი გიორგი რაზმაძე - თბილისის წმინდა ქეთევან წამებულის ტაძარი*
- *მეუფე გიორგი ჯამდელიანი - მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქია*
- *არქიმანდრიტი კირიონ ონიანი - დავით-გარეჯას ლავრა*
- *მამა გიორგი პავლოვი - საგარეჯო, გიორგიწმინდას ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი*
- *მღვდელმონაზონი დავით უმანკოშვილი - გელათის წმინდა საბას სახელობის მონასტერი*
- *დეკანოზი არჩილ დათეშიძე - ქუთაისის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი*
- *მამა არსენ სადუნიშვილი - ქუთაისის წმინდა იოანე ნათლისმცემლის შობის სახელობის ტაძარი*
- *მამა თომა სოსელია - ქუთაისის წმინდა იოანე ნათლისმცემლის შობის და წმინდა თომა მოციქულის სახელობის ტაძრები*
- *მღვდელი კვირიკე რობაქიძე - ქუთაისი, ღირსი ილარიონ ქართველის ეკლესია*
- *დეკანოზი იოანე მიხელიძე - გუმათის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის, ზარათის წმ. კვირიკესა და ივლიტას და ჟონეთის ფერისცვალების სახელობის ტაძრები*
- *დეკანოზი ილარიონ კვიმსაძე - ქუთაისის წმ. თომა მოციქულის სახელობის ტაძარი*
- *მღვდელმონაზონი მოსე ცქიტიშვილი - ქუთაისის ღირსი მოსე შავის სახელობის მონასტერი*
- *მამა იოანე გრიგოლაშვილი - წყალტუბო, სოფელ უკანეთის ტაძარი*
- *მამა დავით ბოჭორიშვილი - ტყიბული, ქაშუეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია*
- *მამა გიორგი ბედიაშვილი - თბილისი, წმინდა დემეტრე თავდადებულის სახელობის/ წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის ტაძარი*

- *მამა ბენიამინ ებრალიძე - ჯიხეთის დედათა მონასტერი*
- *მამა დემეტრე ქათამაძე - ბოლნისი, ქვეშის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი*
- *მამა იოანე საბანაძე - ვაკის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძარი*
- *მამა მირიან ფხაკაძე - ბოლნისის ეპარქია, ტანძიის ეკლესია.*

2.4 5 ივლისის აქციის დაფინანსება და ორგანიზატორთა სავარაუდო ფინანსური წყაროები

მნიშვნელოვანია გამოგვეკვლია 5 ივლისის ძალადობრივი აქციის ორგანიზატორთა დაფინანსების სავარაუდო წყაროებიც. როგორც უკვე ვიცით, „ალტ-ინფოს“ 50%-იან წილს ფლობს კონსტანსტინე მორგოშია (ორგანიზაცია ფორმალურად მის მამიდაზეა რეგისტრირებული). კონსტანტინე მორგოშია წარსულში იყო „ქართული მარშის“ დამფინანსებელი, ხოლო ამ ეტაპზე ფინანსურ მხარდაჭერას უწევს, მათ შორის, მის საკუთრებაში არსებულ „ალტ-ინფოსა“ და სხვა, ჩვენი შეფასებით, ძალადობრივ ორგანიზაციებს.

როგორც აღვნიშნეთ, კონსტანტინე მორგოშია[71] „ქართული მარშის“ დამფინანსებელი იყო. ამას ადასტურებს სანდრო ბრეგაძის განცხადებაც, სადაც ის საუბრობს, რომ ოფისის ქირასაც ის და კონსტანტინე მორგოშია იხდიდნენ. თავად მორგოშია საკუთარ სახელზე უძრავ ქონებასა და ბიზნესის დიდ ნაწილს არ ფლობს. მისი ბიზნესის ძირითადი ნაწილი მამასა და მამიდაზეა გაფორმებული. მორგოშიას მამა რამდენიმე თვის წინ გარდაიცვალა, თუმცა, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ოფიციალურ დოკუმენტებში ქონება დღემდე მის სახელზე რჩება.

კონსტანტინე მორგოშია ორი კომპანიის მეწილე, ორის - დირექტორი და ორის დამფუძნებელი/თავმჯდომარეა. ეს ორგანიზაციებია: შპს „გრანდე გრუპ ჯორჯია“, ააიპ კავკასიონი, ა(ა)იპ „ალტერნატივა საქართველოსთვის“, შპს „კემ კონსტრაქშენი“ და შპს „მაგნუს დიზაინი“. მისი თქმით, თავად „ქეის მენეჯერია“ და 5-6 კომპანიასთან თანამშრომლობს, სადაც მისი პარტნიორები დსთ-ს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენები და მათთან დაკავშირებული უცხოელი პარტნიორები არიან.

გარდა ამისა, მორგოშიას მეგობრის შვილის სახელზე სახელმწიფოს ასობით ჰექტარი[72] მიწები აქვს უსასყიდლოდ ან სიმბოლურ ფასად გადაცემული, და ამ ქონებაზე ვალდებულებები სრულად არ არის შესრულებული.

მეორე მსხვილი ბიზნესმენი, რომელიც ამ ძალადობრივი ჯგუფების უკან ფიგურირებს, არის ლევან ვასაძე, რომელიც არაერთ ბიზნესს ფლობს[73] საქართველოსა და რუსეთში. 2010 წელს ლევან ვასაძის საინვესტიციო კომპანია Prometheus Capital Partners-მა ზოომაღაზიების ქსელის, „Бетховен“-ის და „ზოობუმის“ საკონტროლო პაკეტი შეიძინა. რუსული მედიის ინფორმაციით, ამ პერიოდში კომპანიის ღირებულება 5 მილიარდ რუბლად,

71 https://cutt.ly/2YcUeQr

72 https://cutt.ly/CYcUkKU

73 https://cutt.ly/lYcUnye

ანუ დაახლოებით $70 მილიონად, ხოლო მასში ლევან ვასაძის საკონტროლო პაკეტის წილი კი 3-3.5 მილიარდ რუბლად, ანუ $40-$45 მილიონად იყო შეფასებული.

2016 წლიდან 2017 წლის ივნისამდე ლევან ვასაძე ფლობდა და ხელმძღვანელობდა რუსულ IT საკონსულტაციო ფირმა AT Consulting-ს, რომელიც, კომპანიის ვებგვერდის თანახმად, ამ პერიოდში 2500-ზე მეტ ადამიანს ასაქმებდა. 2016 წელს კომპანიის შემოსავალი 11.87 მილიარდი რუბლი იყო, რაც ამ პერიოდის გაცვლითი კურსის მიხედვით, $160 მილიონს უტოლდება.

ლევან ვასაძის ქართული ბიზნესი

საქართველოში ლევან ვასაძის აქტივებს შორის ცქრიალა ღვინის მწარმოებელი უმსხვილესი კომპანია „ბაგრატიონი 1882"-ია. კომპანიის მიერ reportal.ge-ისთვის წარდგენილი ფინანსური ანგარიშის თანახმად, 2019 წელს სააქციო საზოგადოება „ბაგრატიონი 1882"-ს, 22,044,135 ლარის აქტივები ეკუთვნის.

„ბაგრატიონი 1882"-ის გენერალური დირექტორის, ლევან ვასაძის მეუღლეა ნინო დურგლიშვილი. კომპანიის 96,82%-იან წილს ვასაძესთან დაკავშირებული ლუქსემბურგული კომპანია „ქორ ინვესტი" ფლობს.

კიდევ ერთი ბიზნესი, რომელშიც ლევან ვასაძე საქართველოშია ჩართული, სასკოლო განათლების სფეროა. მისი მეუღლე ნინო დურგლიშვილი ფლობს კიკეთში მდებარე **იაკობ გოგებაშვილის სასწავლებლის** 100%-იან წილს. კომპანიის მიერ reportal-ზე წარდგენილი ფინანსური ანგარიშის თანახმად, 2019 წელს სკოლის შემოსავალი 978,514 ლარი, მისი წმინდა მოგება კი 266,239 ლარი იყო. სკოლის აქტივების მოცულობა 2019 წლის ბოლოსთვის **1,952,743 ლარს შეადგენდა.**

2013-დან 2016 წლამდე ლევან ვასაძე ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფუძნებული საინვესტიციო ფონდის – თანაინვესტირების ფონდის მმართველი კომპანიის, **„ჯი სი ეფ პარტნიორების"** 16%-იან წილს ფლობდა. ამასთანავე, ვასაძემ 2013 წელს „თანაინვესტირების ფონდის" პრეზენტაციაზე განაცხადა, რომ ის ფონდის მრჩეველთა საბჭოს წევრი იქნებოდა.

გარდა ამისა, ცნობილია, რომ ლევან ვასაძის და, თამარ ვასაძე 83%-იან წილს ფლობს ეროვნული სამოსის მწარმოებელ ბრენდ „სამოსელი პირველში". ფლანგვის დეტექტორის[74] თანახმად, 2012 წლიდან 2019 წლის ჩათვლით, კომპანიას 107 გამარტივებულ შესყიდვაში აქვს მონაწილეობა მიღებული და მათგან შემსყიდველების უმეტესობა სახელმწიფო დაწესებულებაა. ამ პერიოდში მაღაზიას ჯამურად 135,365 ლარი აქვს მიღებული. მათ შორის, 2020 წლის მარტში 116,000 ლარი ჩოხების შესაკერად თავდაცვის სამინისტრომ მას უტენდეროდ მისცა.

რაც შეეხება აქციის კიდევ ერთი ორგანიზატორის, დიმიტრი ლორთქიფანიძის[75] პრიმაკოვის ფონდს, „ე.მ. პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრი" საქართველოში 2013 წელს „გორჩაკოვის ფონდმა" და „ქართული საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტმა" დააარსეს.

„გორჩაკოვის ფონდი" 2010 წელს რუსეთის მაშინდელი პრეზიდენტის, დიმიტრი

74 https://cutt.ly/vYcRl0P

75 https://cutt.ly/1YcRVOi

მედვედევის ბრძანებით, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შექმნა. ფონდს ლეონიდ დრაჩევსკი ხელმძღვანელობს. „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ კვლევის მიხედვით, „გორჩაკოვის ფონდი“ რუსეთის რბილი ძალის გავრცელების ერთ-ერთი ინსტრუმენტია, რომლის წესდების მიხედვითაც, ფონდის მიზანია საზღვარგარეთ რუსეთისთვის ხელსაყრელი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, საზღვარგარეთ რუსეთის ინტელექტუალური, კულტურული, სამეცნიერო და საქმიანი პოტენციალის წინ წაწევა, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერა სამამულო, უცხოური და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის.

„გორჩაკოვის ფონდის“ საინფორმაციო ცენტრი 2013 წელს მუშაობას შეუდგა კიევშიც, მიზანი იგივე იყო, რუსულ-უკრაინული მეგობრობის შენარჩუნება და რუსეთის მიმართ ახალგაზრდების ლოიალობის ზრდა. ფონდის საქმიანობა უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა მათი სახელმწიფოსთვის საფრთხის შემცველად მიიჩნია და ორ წელში ოფისი დაუხურეს.

პრიმაკოვის ცენტრი თანამშრომლობს ორგანიზაცია „რუსულ კლუბთან“, რომლის ერთ-ერთი სპონსორი პუტინის მიერ შექმნილი ფონდი „რუსული სამყაროა“.

„პრიმაკოვის ფონდის“ დაფინანსების შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომი არაა, თუმცა მისი რუსული კავშირებიდან უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი დაფინანსებიც წყაროც სწორედ რუსეთის ფედერაციაშია.

დასკვნა:

ჩვენი შეფასებით, ბიზნესმენი ლევან ვასაძე ფიგურირებს „ალტ-ინფოს“ უკან და აქტიურად მონაწილეობდა 5 ივლისის აქციის ორგანიზებაში. მისი ბიზნესი რუსეთსა და საქართველოში, სხვადასხვა შეფასებით, ათეულობით მილიონ დოლარს ითვლის და 5 ივლისის აქციიის ერთ-ერთ სავარაუდო დამფინანსებელიც ის უნდა იყოს.

კონსტანტინე მორგოშია ლევან ვასაძის მსგავსად საკმაოდ მსხვილი ბიზნესმენია, რომელიც 5 ივლისამდე პერიოდში აქტიურად იყო აქციის ორგანიზებაში ჩართული. 5 ივლისის დღეს მორგოშია უშუალოდ ხელმძღვანელობდა ძალადობრივ აქციას. სწორედ მან წაიყვანა მომიტინგეები „სირცხვილიას“ ოფისის დასარბევად, სადაც მათ ლექსო ლაშქარავას სცემეს. ცხადია, ჩვენ ხელი არ მიგვიწვდება საბანკო გადარიცხვებსა და ნაღდი ფულის განკარგვის პროცესების მეთვალყურეობაზე, მაგრამ საფუძლიანად ვვარაუდობთ, რომ სწორედ მისი აქტიური ფინანსური მხარდაჭერით მოხდა 5-6 ივლისის აქციების საორგანიზაციო ხარჯების დაფარვა.

ხოლო პრიმაკოვის ფონდი, რომლის დირექტორიც დიმიტრი ლორთქიფანიძეა, პირდაპირ არის რუსული რბილი ძალის წარმომადგენელი საქართველოში, აქტიურად თანამშრომლებს რუსულ კლუბთან, რომლის დამფინანსებელიც პუტინის მიერ შექმნილი ფონდი „რუსული სამყაროა“. მიუხედავად იმისა რომ ამ ორგანიზაციის ფინანსები საჯარო არაა უნდა ვივარაუდოთ, რომ პრიმაკოვის ფონდის დაფინანსების წყარო რუსეთის ფედერაციაა და 5

ივლისის აქციის ერთ-ერთი შესაძლო ფინანსური წყაროც სწორედ რუსეთიდან მოდიოდა.

ცხადია, ეს არ გომირიცხავს, რომ ძალადობრივი აქციის დამფინანსებლები სხვა ადამიანებიც იყვნენ, მაგრამ ზემოხსენებული მაგალითები ცხადყოფს, რომ საბოლოო ჯამში 5 ივლისის ძალადობის ორგანიზატორები ან თავად არიან მსხვილი ბიზნესმენები, ან მათ უკან დგას კონკრეტული ფონდები და მსხვილი ბიზნესები, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ რუსეთის ფედერაციასა და მოქმედ ხელისუფლებასთან.

ნაწილი III - როგორ განვითარდა 5-6 ივლისის მოვლენები?

3.1 5 ივლისის მოვლენების ქრონოლოგია

„თბილისი პრაიდის“ მოწინააღმდეგეებმა რუსთაველის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე შეკრება დილით, დაახლოებით 10 საათიდან დაიწყეს. პოლიციამ რუსთაველის გამზირი 11 საათიდან გადაკეტა. „თბილისი პრაიდის“ მოწინააღმდეგეების ძირითადი მოთხოვნა ღონისძიების გაუქმება იყო. თუმცა, დილიდანვე, მოძალადეები განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდნენ მედიის წარმომადგენლების მიმართ. ისინი არც პოლიციასთან შეტაკების საფრთხეს გამორიცხავდნენ.

> *„ძალადობა არის ლგბტქ+ სიბილწის პროპაგანდა. წესით, ამ ძალადობრივ აქტს უნდა დაუპირისპირდეს პოლიციის ადეკვატური ძალა და ისინი განარიდოს, ჩამოართვას პლაკატები და გაიყვანოს ტერიტორიიდან, მაგრამ, რადგან პოლიცია ამას ვერ გააკეთებს, რადგან პოლიციას მიღებული აქვს კანონი, რომ ლგბტქ+ ცხოვრების წესი არის ნორმა, ამდენი ხალხი ჩამოდის იმიტომ, რომ ფაქტობრივად პოლიცია ჩაანაცვლონ“, - გურამ ფალავანდიშვილი.* [76]

5 ივლისის დილა

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება

მთავრობის სხდომის დაწყებამდე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, „თბილისი პრაიდთან“ დაკავშირებით განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ რუსთაველის გამზირზე მარში არ უნდა ჩატარებულიყო.

> *„ჩვენ გვაქვს მრავალსაუკუნოვანი ისტორია, როგორც ერთ-ერთი უძველესი ერი, სადაც თანაცხოვრების არაერთი მაგალითი გვაქვს და ჩვენს ერში არასოდეს არცერთ წარმომადგენელს, იქნება ეს რელიგიური, თუ სხვა ნიშნით გამორჩეული ადამიანები, არასოდეს ჰქონიათ პრობლემა. შესაბამისად, მინდა ვთქვა, რომ დღესაც იმ ადამიანებს, რომლებიც აპროტესტებენ და გამოხატავენ საკუთარ პოზიციას და სურთ გარკვეული მარშების ჩატარება, ეს მათი უფლებაა. ბუნებრივია, ამას ვგებულობთ როგორც მოცემულობას და ჩვენ გვესმის მათი სურვილები, მათი კონსტიტუციური უფლებაა.*
>
> *დღევანდელი აქცია სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხეს შეიცავს.*

76 იხ. ვიდეო https://cutt.ly/HYy8Jpu

მოსახლეობის უმრავლესობისთვის აღნიშნული აქციის ჩატარება არის მიუღებელი. მიმაჩნია, რომ აღნიშნული აქცია არ უნდა ჩატარდეს რუსთაველის გამზირზე. შსს მუდმივ კონტაქტზეა მარშის ორგანიზატორებთან, მათ განემარტათ, რომ მათი აქცია შეიცავს გარკვეულ საფრთხეს და მათ მიეცათ ალტერნატიული ლოკაციების შერჩევის შესაძლებლობა. მინდა მივმართო მათ, რომ გაითვალისწინონ ჩვენი მოწოდება" - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.[77]

ლოკაცია: მეტრო „რუსთაველის" მიმდებარე ტერიტორია

პრემიერის განცხადებიდან მალევე, გურამ ფალავანდიშვილმა მეტრო „რუსთაველის" წინ განცხადება გააკეთა:

„ჩვენთვის მესამეხარისხოვანია ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს მოსწონს თუ არა პრაიდები. ეს არის დაცინვა. ჩვენ რუსთაველს კი არ ვუფრთხილდებით. დიღომია, თემქაა, გორია, ჭიათურაა, ყველა ჩვენი ღვთისმშობლის წილხვედრი მიწაა. სიბინძურის აღლუმი არსად არ უნდა ჩატარდეს. არანაირი ალტერნატივა. მხოლოდ აკრძალვა. ეს არის მიუღებელი, ბინძური ფორმა ცხოვრების წესის. ამიტომ, თუ ჩვენ, სადმე დაანონსდება და გავიგებთ, გინდა არ დაანონსდეს - გავიგებთ, ჩვენ ჩვენი ძალებიდან ნახევარს წავიყვანთ და წავალთ. ჩვენ მივდივართ ნებისმიერი აქტივობის ჩასაშლელად. და მე მინდა პრემიერი გავაფრთხილო - ჩვენ არ ვხუმრობთ. მივდივართ, რომ ფიზიკურად ჩავშალოთ მარში და შემდეგ მას მივადგებით კაბინეტში, თუ მოხდება ძალადობა ქართველ ერსა და ბერზე. ამიტომ, ვუყენებთ პრემიერს ულტიმატუმს, ჩვენ მზად ვართ ბოლომდე ვიომოთ. და არ გავატარებთ. თუ გავატარებთ, მივადგებით მას კაბინეტში და გადაყვება მის ალტერნატივებს. დადგეს ერისა და ბერის მხარეს და ნუ გვემუქრება თავისი ალტერნატივებით".[78]

ლოკაცია: ქაშუეთის უკან, ცხრა აპრილის ბაღი

დილიდანვე, აქციის მონაწილეები ქაშუეთის უკან, ცხრა აპრილის ბაღში შეიკრიბნენ. შეკრებილებს ზურაბ მახარაძემ მიმართა. აქვე გაიჟღერა კარვების დარბევისკენ მიმართულმა პირველმა მოწოდებამ.

„გამარჯობა, ქართველებო. დღეს, საქართველოში არის ძალიან მნიშვნელოვანი დღე და მინდა რომ ორი სიტყვით გითხრათ, რა დღე არის. აგერ, საკანონმდებლო ორგანოს წინ, დაბანაკებულია ის პარტიები - 15 პარტია, რომლებმაც მაგ პიდარასტული ხელმოწერა გააკეთეს მაგათ [ლგბტქ+ თემის] რაღაც სისულელეზე. მაგათი ჩატარებული არის ეგ პრაიდი".

„ხელის მოწერა არი მაგ პარტიების და აი აქ უკვე გვაქვს გენპრაიდი და მე ახლა გეტყვით ჩვენ რას ვიზამთ. აეხლა ავალთ იქ საკანონმდებლო ორგანოზე და ნაგვისგან გავწმინდავთ და მერე დაველაპარაკებით. წავედით".[79]

აღსანიშნავია, რომ ზურაბ მახარაძის ეს განცხადება თითქმის იდენტური იყო იმ განცხადებისა, რომელიც მომდევნო საათებში ირაკლი კობახიძემ გააკეთა:

77 იხ. განცხადება https://cutt.ly/kYy4peE

78 იხ. განცხადება https://cutt.ly/jYy4jmp

79 იხ. ვიდეო https://cutt.ly/zYy4x0s (დრო 2:20).

„პრაიდის რეალური მიზანი იყო არა ვინმეს უფლებების დაცვა, არამედ, მის უკან იდგა სუბიექტური პოლიტიკური ინტერესი. მინდა შევახსენო ყველას, რომ ის რაც ხდება დღეს თბილისში, არის მხოლოდ და მხოლოდ პრაიდის უკან მდგომი რადიკალური ოპოზიციის, ნაციონალური მოძრაობისა და მისი პარტნიორი პარტიების ინტერესებში", - ირაკლი კობახიძე. [80]

ლოკაცია: საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს პერიმეტრი

10:49 საათიდან, აქციის მონაწილეთა გარკვეული ნაწილი უკვე პარლამენტის შენობასთან იყო შეკრებილი. კეთდებოდა ანტიდასავლური და ჰომოფობიური მოწოდებები გამომსვლელთა მხრიდან. ამავე დროს, ზურაბ მახარაძემ აქციის მონაწილეებს რუსთაველზე ოპოზიციური პარტიების, მალხაზ მაჩალიკაშვილისა და თამარ ბაჩალიაშვილის ოჯახის მიერ გაშლილი საპროტესტო კარვების დარბევისაკენ მოუწოდა.[81]

„ეს ნაგავი გადაიტანეთ იქითა მხარეს. გაწმინდეთ პარლამენტის შენობის მისასვლელები. ამათი, პიდარასტების ადგილი არ არის. გაიტანეთ, გაიტანეთ ეს ნაგავი აქედან".[82]

მახარაძის მოწოდებას ოვაციით შეხვდნენ მონაწილეები. მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველზე გაშლილი კარვები თვეების განმავლობაში საპროტესტო ხასიათს ატარებდა და არავითარი კავშირი არ ჰქონია ლგბტქ+ თემთან, აგრესიულად განწყობილი ჯგუფები რამდენიმე წუთის განმავლობაში ენთუზიაზმით არბევდნენ კარვებს. დაწვეს ამერიკის შეერთებული შტატების დროშაც.

კარვების დანგრევის შემდეგ, მახარაძემ მონაწილეებს ქაშუეთის უკან გადასვლისკენ მოუწოდა -

„გადადით ქაშუეთის უკან. წამოიღეთ აპარატურა. ეს ლოკაცია ამ მომენტიდან არის ჩვენი".

მიუხედავად იმისა, რომ მოძალადეები უკანონოდ არბევდნენ კარვებს, პოლიციას მათთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. ფეისბუკ-ლაივით გადაღებულ კადრებში ისმის აქციის მონაწილე **მაყვალა თოფურიას** მიმართვა:

„გენაცვალეთ, პოლიციელებო, გენაცვალეთ, კარგები ხართ ბავშვებო. პოლიცია აღარ არის ხალხი. ჩვენ გვერდით დგას პოლიცია. აი, აქ ხედავთ სადმე პოლიციას? თითო-ოროლას თუ დაინახავთ. დიდება უფალს". [83]

დაახლ. 11:20 საათიდან, რუსთაველის გამზირზე სიტუაცია დაიძაბა. რადიკალურად განწყობილი ჯგუფები ფიზიკურად გაუსწორდნენ ტელეკომპანია „ფორმულას", „მთავარი არხის", „ტვ პირველისა" და „პალიტრანიუსის" ჟურნალისტებს.

11:59 საათიდან, კონსტანტინე მორგოშიამ აქციის მონაწილეებს „სირცხვილიას" ოფისთან დაძვრისაკენ მოუწოდა.

80 იხ. ირაკლი კობახიძის ბრიფინგი https://cutt.ly/EYy4mFV

81 იხ. კარვების დარბევის კადრები https://cutt.ly/WYy4Yf2

82 https://cutt.ly/sYy4PQv (დრო 2:30).

83 იხ. ვიდეო https://cutt.ly/4Yy4LiK (დრო 10:46).

„ახლა მოვიდა ჩვენთან ინფორმაცია, ინგოროყვას ქუჩაზე, სადაც უშიშროების შენობაა, არის „სირცხვილიას“ ოფისი, სადაც მართლა სირცხვილია ხალხი, ეს მაქარაშვილები და ვიღაც მაიმუნები, წნეხის ქვეშ აყენებენ ამ ლგბტქ+ პრაიდის ორგანიზატორებს, რომ გინდა თუ არა მოვიდნენ რუსთაველზე. ახლა ყოველგვარი ქაოსის გარეშე, დაახლოებით 500-600 კაცი გამოვეყოთ ქუჩის აქეთა მხარეს და დავიძრათ მაგათი ოფისისკენ. 500 კაცი, არ ავირიოთ, პირველი სკოლის ეზოში გადმომყვეს მე“.[84]

ზურა მახარაძე - „თუ შეიძლება, ერთი წუთით, ყველა არ გაყვეს, ძირითადი მასა დარჩით, 500 კაცზე მეტი არ არის საჭირო, პიდარასტებს ასი კაციც ეყოფა, მარა მაინც, 500 საკმარისია.

ახლა, როგორც კურთხევაა, 12 საათის ლოცვა იქნება, მამაოს ვთხოვ წაიკითხოს და ჩვენი ძმები კიდე მიდიან საბრძოლველად და შეეწევათ მაგ საქმეშიც ღმერთი“.[85]

ლოკაცია: თბილისის კლასიკური გიმნაზიის ეზო

12:04 საათიდან, რადიკალურად განწყობილი ჯგუფების ერთი ნაწილი, მოწოდებისამებრ, პირველი სკოლის ეზოში შეიკრიბა.[86]

„ჩვენ თავისთავად არაფრის არ გვეშინია, ამიტომ, მშვიდად გამომყევით მე, მივიდეთ ამ მართლა „სირცხვილიას“ ოფისთან და ვანახოთ რა არის სირცხვილი“, - მიმართა ეზოში შეკრებილებს კონსტანტინე მორგოშიამ. მორგოშიას მოწოდებას აგრესიულად განწყობილი ჯგუფები ოვაციებით შეხვდნენ.

ლოკაცია: „სირცხვილიას“ ოფისი/ინგოროყვას ქუჩა [87] [88]

12:07 საათი: აქციის მონაწილეები „სირცხვილიას“ ოფისთან მივიდნენ. შეურაცხმყოფელი შეძახილებისა და რეპლიკების ფონზე, მოძალადეთა ჯგუფები ხელჯოხებით ურტყამდნენ სადარბაზოს კარს. ჩაამსხვრიეს შუშები, შეამტვრიეს კარი და შეცვივდნენ სადარბაზოში. გავრცელებული კადრებიდან ჩანს, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში, პოლიცია ფაქტობრივად უმოქმედო იყო და მოძალადეთა ჯგუფებისთვის ხელი არ შეუშლია. შეინიშნებოდა სამართალდამცავთა სიმცირეც - ოპერატორების მიერ გადაღებულ კადრებში დაახლოებით 4 პოლიციელი ჩანს.

12:08 საათისთვის, სადარბაზოში შეჭრილი პირები ოპერატორ ლექსო ლაშქარავასა და ჟურნალისტ მირანდა ბაღათურიას ფიზიკურად გაუსწორდნენ.[89]

12:13 საათიდან, მოძალადეები კორპუსიდან შეძახილებისა და ოვაციების ფონზე გამოდიან. პოლიციას არაფერი გაუკეთებია მათ შესაჩერებლად. როგორც კორპუსის ერთ-ერთი მცხოვრები მედიასთან საუბრისას აღნიშნავს, რამდენიმე პირი მის საცხოვრებელ ბინაშიც შეიჭრა.

84 იქვე https://cutt.ly/aYy41Ly (დრო 3:25).

85 იქვე (დრო 3:57).

86 იქვე (დრო 4:26).

87 იხ. მოძრაობა „სირცხვილიას“ ოფისის დარბევის კადრები https://cutt.ly/kYy7s5H (დრო 4:47).

88 იხ. ლექსო ლაშქარავას მიერ გადაღებული კადრები https://youtu.be/9MDpZeR-1K8

89 მირანდა ბაღათურია იხსენებს, როგორ გაუსწორდნენ ფიზიკურად აქციის მონაწილეები https://cutt.ly/cYy7nkF

12:20 საათზე, კონსტანტინე მორგოშია ითხოვს, რომ „სირცხვილიას“ აქტივისტები ოფისიდან ხელებაწეულები გამოვიდნენ -

> *„გამოვიდეს მაქარაშვილი აწეული ხელებით. ხო მაგრები ხართ, გამოდით და დაახვიეთ აქედან“.*

12:24 საათზე გაკეთებული რეპლიკები:

თანმხლები პირი კონსტანტინე მორგოშიას ურჩევს, თქვას - *„დიდება უფალს“.*

მორგოშია ხმამაღლა აცხადებს - *„დიდება ღმერთს, დიდება უფალს, დიდება პატრიარქს“* (ისმის შეძახილები).

თანმხლები პირი მიმართავს კონსტანტინე მორგოშიას: *„ჩემი დედა ***, აი ორი კაცი უნდა ვცემო“.*

მორგოშიას პასუხი რეპლიკაზე: *„კიბატონო“.*

12:25 საათზე, კონსტანტინე მორგოშია მიმართავს „სირცხვილიას“ ოფისის წინ განლაგებულ პოლიციას, რომ ოფისში მყოფი აქტივისტები გაიყვანონ ტერიტორიიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის პასუხს არ აგებს მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე. ადგილზე აღინიშნებოდა სამართალდამცავთა სიმცირე. გავრცელებულ კადრებში ჩანს, რომ პოლიცია პრაქტიკულად უმოქმედო იყო.

> *„აქ მოდის მთელი ქართველი ხალხი. რაც დრო გავა, მით უფრო, სიტუაცია გახდება უკონტროლო. ამ პასუხისმგებლობას არავინ არ აიღებს. ყველაფრისთვის ბრალი არის აი ამ პიდარასტების. ამიტომ, სანამ არის საშუალება, 6-7 პიდარასტი ჩვენი მოთხოვნა და თხოვნა იქნება, მოაშოროთ ამ ადგილს“.*

12:26 საათი: მორგოშიას ულტიმატუმი პოლიციას - *„ჩვენ დაველოდებით 15 წუთი მაქსიმუმ, 15 წუთი დაველოდებით მაქსიმუმ, რომ პოლიციამ გაიყვანოს ეს ფარჩაკები. სხვა შემთხვევაში, ჩვენ გამოვიყვანთ ამათ აქედან“.*

12:28 საათი - კონსტანტინე მორგოშიას კომუნიკაცია აქვს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილესთან, გელა ქურდაძესთან. სავარაუდოდ, ქურდაძემ მორგოშიას „სირცხვილიას“ ოფისიდან აქტივისტთა გაყვანის შესახებ აცნობა, ვინაიდან, შემდგომ, მორგოშიამ იქ შეკრებილ პირებს მიმართა: *„ბიჭებო, ძმებო და დებო. ეხლა სამი წუთის უკან, ავარიული შესასვლელიდან ესენი გაიყვანეს. მაგრამ, ჩვენ რომ დავრწმუნდეთ ჩემთან ერთად ერთი კამერა შევალთ, ჩვენი თვალით ვნახავთ და გამოვალთ“.*

საყურადღებოა, რომ ამ დროს შენობაში „სირცხვილიას“ 4 აქტივისტი იმყოფებოდა. პოლიციის მაღალჩინოსანმა გელა ქურდაძემ კი კონსტანტინე მორგოშიასა და ირაკლი მარტინენკოს ოფისის დათვალიერების ნება დართო.

აქციის ორგანიზატორები ფეისბუკ ლაივით გადასცემდნენ ოფისში შესვლის მომენტს. იქვე, ისმის მთაწმინდის რაიონის პოლიციის ხელმძღვანელის (რომელიც მოგვიანებით საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს I სახაზო-საპატრულო სამმართველოს (მთაწმინდა-კრწანისი) უფროსად დაწინაურდა), გოგა

მემანიშვილის ხმა. მემანიშვილი მორგოშიას მიმართავს: *„კოტე, აი, არავინ არ არის, ხო არ მოგატყუებ“.*

ამასობაში, „ალტ-ინფოს“ ერთ-ერთი წევრი ადის კიბეებზე, *(„მეგობრებო, აი ახლა ავდივართ და ვნახულობთ ამათ ბუნაგს“)* ზუსტად ამ დროს კი, ნაცემი ლექსო ლაშქარავა ზედა სართულზე სასწრაფოს ელოდება. მას შემდეგ, რაც „ალტ-ინფოს“ წევრებმა კიბეებზე ჟურნალისტი დაინახეს, კამერა გათიშეს.

12:30 - 12:33 საათზე, კონსტანტინე მორგოშია სიტყვით მიმართავს აქციის მონაწილეებს:

„როგორც მოსალოდნელი იყო და ეს ახლა, არავის გაგიკვირდებათ, როგორც კურდღლები, ისე არიან გაქცეულები ესენი უკანა გასასვლელიდან. ამიტომ, ჩვენ ეხლა გადავინაცვლებთ ისევ ქაშუეთის წინ ან რუსთაველის მოედანზე და რამდენიმე ჯგუფი გადავალთ ფილარმონიასთან, იმიტომ, რომ მეორე ნაწილი აპირებს იქ შეკრებას“.
მორგოშია პოლიციას მადლობას უხდის.

ლოკაცია: საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მიმდებარე პერიმეტრი [90]

12:39 საათისთვის, კონსტანტინე მორგოშია მოძალადეთა ჯგუფთან ერთად პარლამენტთან დაბრუნდა (ზურაბ მახარაძე კონსტანტინე მორგოშიას: *„ანუ, პიდარასტების ბუდე ავიღეთ, ხო?“)*

როგორც მოგვიანებით ცნობილი გახდა, „თბილისი პრაიდის“ ორგანიზატორები პარალელურად ფილარმონიასთან ჩავლას გეგმავდნენ, რის შესახებაც, შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ცნობილი იყო. თუმცა გეგმის შესახებ ინფორმირებულები აღმოჩნდნენ პრაიდის საწინააღმდეგო აქციის ორგანიზატორები და პარლამენტის წინ შეკრებილ ხალხს ფილარმონიასთან წასვლისაკენ მოუწოდეს.

> *„პიდარასტების ბუდეს რაც შეეხება, ამათ არ ასვენებთ გამჩენი, ახლა როგორც ინფორმაცია შემოვიდა, ესენი დაძვრებიან და რამდენიმე ხანში აპირებენ ფილარმონიასთან გამოსეირნებას ჩუმად. არ ავირიოთ. აქ, რუსთაველზე ამ აქციის ნაწილი - აქტივი დგას. აქედანაც, ერთ 200-300 კაცი, მეტი არარი საჭირო, დაახლოებით 100 კაცით დავდგეთ თავისუფლებაზე, რადგან ყველა ლოკაციას, როგორც შეგპირდით, ვაკონტროლებდეთ ჩვენ“.*

12:40 საათზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომლითაც „თბილისი პრაიდის'“ ორგანიზატორებს, ღია სივრცეში „ღირსების მარშის“ გამართვაზე უარის თქმისკენ მოუწოდებდა. მიზეზად, ჰომოფობიური ჯგუფების კონტრაქციის მასშტაბურობა დასახელდა.

12:54 საათზე, დეკანოზი სპირიდონ ცქიფურიშვილი აქციის მონაწილეებს მიმართავს:

> *„... არა ძალადობას კი არა, ვალდებულები ხართ იძალადოთ სამშობლოსთვის. იძალადოთ ქვეყნისთვის“.*

13:00 საათამდე რამდენიმე წუთით ადრე, ზურაბ მახარაძემ აქციის მონაწილეებს „თბილისი პრაიდის“ ოფისთან მისვლისაკენ მოუწოდა.[91]

90 იხ. ვიდეო https://cutt.ly/2Yy72cV (დრო 10:15).

91 იხ. მიმართვა იქვე (დრო 12:20).

„ძმებო, ბატონ დიმიტრის 200 კაცი თუ შეიძლება გაყევით ფილარმონიის მიმართულებით. 200-300 კაცი საკმარისია, მიეხედებათ ქათმებს“.

ლოკაცია: „თბილისი პრაიდის“ ოფისი[92]

მოძალადეთა ერთი ნაწილი ორგანიზებულად დაიძრა ოფისისკენ. **13:00** საათზე ისინი უკვე „თბილისი პრაიდის“ ოფისთან იმყოფებოდნენ. ისმოდა შეურაცხმყოფელი შეძახილები, „ჩამოხსენით დროშა“ - ყვიროდნენ მოძალადეები.

„თბილისი პრაიდის“ ოფისში აქციის მონაწილეები აივნიდან გადაძვრნენ. უკანონოდ შეიჭრნენ კერძო საკუთრებაში, დააზიანეს ნივთები და დახიეს ლგბტქ+ დროშა.

მოძალადეთა ნაწილი თავს დაესხა იმ მოქალაქესაც, რომელმაც დაგმო აქციის მონაწილეთა ძალადობრივი მოქმედებები.

საყურადღებოა, რომ ადგილზე რამდენიმე პოლიციელი დამცავი ეკიპირების გარეშე მივიდა. მათ აქციის მონაწილეებისათვის აივანზე აძვრომაში ხელი არ შეუშლიათ.

ლოკაცია: პარლამენტის შენობა

„თბილისი პრაიდის“ ოფისზე თავდასხმის პარალელურად, დაახლოებით **13:23** საათზე, პარლამენტის კიბეებთან მოძალადეები ფიზიკურად გაუსწორდნენ „ფორმულას“ ჟურნალისტს, რატი წვერავას.[93]

„ბიჭო, ნუ ურტყავთ, არ დაარტყათ, რას აკეთებთ. ერთი ადამიანია ბიჭო, გაუშვით, რა იყოთ, ბიჭო“, - ისმოდა შეძახილები, თუმცა, მოძალადეები იქამდე უსწორდებოდნენ ფიზიკურად რატი წვერავას, სანამ პოლიციამ ჟურნალისტი ტერიტორიას არ გაარიდა.

13:40 საათზე, აქციის მონაწილეებმა პარლამენტის წინ აღმართული ევროკავშირის დროშა ჩამოხსნეს და რკინის კონსტრუქციისგან გაკეთებული წმ. ნინოს ჯვარი აღმართეს.[94]

14:40 საათისთვის „თბილისი პრაიდმა“ გაავრცელა განცხადება „ღირსების მარშის“ გადადების თაობაზე. მიზეზად, ხელისუფლების მხრიდან უმოქმედობა (დაეცვათ ლგბტქ+ თემის უსაფრთხოება) დასახელდა.[95]

ლოკაცია: თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი

დაახლოებით **15:00** საათზე, რადიკალურად განწყობილი ჯგუფები თავს დაესხნენ თბილისის ადამიანის უფლებათა სახლს (HRHT). მოძალადეებმა ადამიანის უფლებათა ცენტრის ოფისს ალყა შემოარტყეს და ეზოში ასაფეთქებელი პიროტექნიკა ისროლეს. დამნაშავეთა მიერ პიროტექნიკის აფეთქებისას მოძრაობა „სირცხვილიას“ ერთ-ერთმა აქტივისტმა მუცლის არეში დაზიანება მიიღო.[96]

16:30 საათისთვის, საქართველოში აკრედიტებულმა საელჩოებმა ერთობლივი განცხადება გაავრცელეს და საქართველოს ხელისუფლებას მოქალაქეთა უსაფრთხოების

92 იხ. „თბილისი პრაიდის“ ოფისზე თავდასხმის კადრები https://cutt.ly/BYy5iGZ (13:00).

93 იხ. ვიდეო https://cutt.ly/yYy5JrR (დრო 15:14).

94 იხ. ვიდეო https://www.youtube.com/watch?v=BH6RZ3dfR-E

95 იხ. განცხადება https://cutt.ly/eYy5NEl

96 იხ. განცხადება https://fb.watch/9vdNWeI2yu/

უზრუნველყოფის მიზნით დაუყოვნებლივი მოქმედებისაკენ მოუწოდეს.

17:00 საათზე, ქაშუეთის ეკლესიის წინ პარაკლისი აღევლინა. საპატრიარქომ „თბილისი პრაიდის“ კონტრაქციის მონაწილეებს ქაშუეთის ეკლესიის წინ შეკრებისა და ძალადობრივი ქმედებისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდა.

20:00 საათზე აგრესიულმა პირებმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს „თბილისი პრაიდის“ მხარდამჭერებს - ნათია ჭკუასელს და ხატია ახალაიას.

22:00 საათზე, „თბილისი პრაიდის“ კონტრაქცია დასრულდა.[97]

5 ივლისს, თბილისში დაგეგმილი „ღირსების მარშის“ წინააღმდეგ გამართულ აქციაზე ძალადობრივი ჯგუფები თავს დაესხნენ მედიის წარმომადგენლებს და მათ ნაწილს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. დაშავებულია 50-ზე მეტი ჟურნალისტი და ოპერატორი:

- *„რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი - თორნიკე მანდარია*
- *„რადიო თავისუფლების“ ოპერატორი - დათო ქორიძე*
- *„რუსთავი 2“-ის ოპერატორი - შოთა სიკინჭალაშვილი*
- *„ტვ პირველის“ ოპერატორი - ალექსანდრე ლაშქარავა*
- *„ტვ პირველის“ ჟურნალისტი - მირანდა ბაღათურია*
- *On.ge-ის ჟურნალისტი - თამთა კახაბერიძე*
- *„ფორმულას“ ჟურნალისტი - რატი წვერავა*
- *„მთავარი არხის“ ჟურნალისტი - დეა მამისეიშვილი*
- *„მთავარი არხის“ ჟურნალისტი - ირაკლი ბახტაძე*
- *„მთავარი არხის“ ჟურნალისტი - ნინო გაზდელიანი*
- *„მთავარი არხის“ ჟურნალისტი - დათუნა ახალაძე*
- *„მთავარი არხის“ ოპერატორი - ანრი ჯოხარიძე*
- *„მთავარი არხის“ ჟურნალისტი - ქეთა ციცქიშვილი*
- *„მთავარი არხის“ ოპერატორი - თორნიკე ბარნაბიშვილი*
- *„ფორმულას“ ჟურნალისტი - გუგა დვალიშვილი*
- *„ტაბულას“ ჟურნალისტი - მაკო ჯაბუა*
- *„ნეტგაზეთის“ ჟურნალისტი - ლუკა პერტაია*
- *„პირველი არხის“ ოპერატორი - ილია თვალიაშვილი*
- *აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტი - თიკო სუსარეიშვილი*
- *„პალიტრანიუსის“ ოპერატორი - რომა ტარუღიშვილი*

97 იხ. ზურაბ მახარაძის მიმართვა ტიკ-ტოკში https://cutt.ly/AYy52Y8

- *„გურიანიუსის“ ჟურნალისტი - მერაბ ცაავა*
- *„რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი - მარიამ ქუმსიშვილი*
- *„რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი - მარიკა გოცირიძე*
- *„რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი - გიორგი პერტია*
- *„რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი - სალომე ბოკუჩავა*
- *„რუსთავი 2“-ის ოპერატორი - ზურა მანაგაძე*
- *„რუსთავი 2“-ის ოპერატორი - ბექა ათაბეგაშვილი*
- *„რუსთავი 2“-ის ოპერატორი - ნიკოლოზ ურუშაძე*
- *„ტვ პირველის“ ჟურნალისტი - გუგა მაისურაძე*
- *„ფორმულას“ ჟურნალისტი - ლუკა ხაჩიძე*
- *„ფორმულას“ ოპერატორი - ნიკოლოზ ქალიაშვილი*
- *„ინტერპრესნიუსის“ ფოტორეპორტიორი - გიორგი ნიკოლიშვილი*
- *„იმედის“ ჟურნალისტი - დიმიტრი ყირიმნიშვილი*
- *„იმედის“ ოპერატორი - შოთა კირვალიშვილი*
- *„ფორმულას“ ჟურნალისტი - გიორგი გაბუნია*
- *„ფორმულას“ ოპერატორი - ლექსო ხომასურიძე*
- *„ტვ პირველის“ ოპერატორი - ლევან ბრეგვაძე*
- *„ფორმულას“ ფოტოგრაფი - ვახო ქარელი*
- *„ფორმულას“ ოპერატორი - ზაზა კაპანაძე*
- *„ფორმულას“ ოპერატორი - გიორგი მაისურაძე*
- *„ფორმულას“ ჟურნალისტი - ნინო ვარძელაშვილი*
- *„რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი - თამუნა ჩქარეული*
- *„ნიუპოსტის“ ფოტოგრაფი - ზურა ცერცვაძე*
- *CNews-ის ჟურნალისტი - გიგა გელხვიძე*
- *„მთავარი არხის“ ჟურნალისტი - ნათია ქოქოსაძე*
- *„მთავარი არხის“ ოპერატორი - ვაჟიკო ჩხაიძე*
- *„მთავარი არხის“ ჟურნალისტი - თაკო ლეკვეიშვილი*
- *„მთავარი არხის“ ოპერატორი - ლევან აბლოთია*
- *„მთავარი არხის“ ოპერატორი - ლევან კალანდია*
- *„მთავარი არხის“ ჟურნალისტი - ნათია ტრაპაიძე*
- *„პირველი არხის“ ჟურნალისტი - ანი ფაცია.*

დაშავებულთა ნაწილი მძიმე დაზიანებებით საავადმყოფოში გადაიყვანეს. მოძალადეებმა დააზიანეს ტელევიზიებისა და ონლაინ გამოცემების ტექნიკა. „ტვ პირველის“ ოპერატორი ლექსო ლაშქარავა, რომელსაც 5 ივლისს, პრაიდის საწინააღმდეგო აქციაზე მოძალადეებმა „სირცხვილიას“ ოფისში სასტიკად სცემეს და დაზიანებები მიაყენეს, 11 ივლისის დილას, საკუთარ სახლში, გარდაცვლილი იპოვეს.

3.2 6 ივლისის მოვლენების ქრონოლოგია

5 ივლისს მომხდარი მასობრივი ძალადობის შემდეგ მოქალაქეებმა 6 ივლისს პარლამენტთან შეკრება დააანონსეს. პირველი, ვინც ამ შეკრების დრო და ადგილი ოფიციალურად განაცხადა, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე იყო, რომელმაც 6 ივლისს, **20:00** საათზე პარლამენტთან მდუმარე აქცია დააანონსა. ამ აქციაზე მისვლა თავის მხარდამჭერებს მოუწოდა პარტია „ევროპულმა საქართველომ“ და პარტიამ, „დროა“. ღონისძიებას აგრეთვე უერთდებოდა თბილისი პრაიდი და სხვა სამოქალაქო ჯგუფები.

6 ივლისის[98] საღამოს **18:00** საათიდან, მოქალაქეებმა პარლამენტთან შეკრება დაიწყეს. პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე აგრეთვე გამოჩნდნენ სიძულვილის ჯგუფების წარმომადგენლები, რომლებმაც დაახლოებით **18:30** საათზე „პალიტრანიუსის“ ჟურნალისტს სცემეს.

ამ ინციდენტიდან დაახლოებით ნახევარ საათში, გურამ ფალავანდიშვილმა და მისი დაჯგუფების წევრებმა პარალმენტის მიმდებარე ტერიტორიაზე შესვლა სცადეს, სადაც მოქალაქეები მდუმარე აქციისთვის იკრიბებოდნენ, რის შემდეგაც ისინი პოლიციამ ტერიტორიიდან გაიყვანა.

20:00 საათისთვის აქციას შეუერთდნენ „თბილისი პრაიდის“ წარმომადგენლები. პარალელურად, კონტრაქციის ჯგუფები იკრიბებოდნენ აქციის სიახლოვეს, რის გამოც პოლიციამ აქციის მონაწილეთა გარშემო კორდონი გააკეთა. ამის პარალელურად, კონტრაქციის მონაწილე ძალადობრივი ჯგუფები ქაშუეთისა და 9 აპრილის ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე განაგრძობდნენ შეკრებას. მათ შორის იყვნენ ზურაბ მახარაძე და „ალტ-ინფოს“ სხვა წარმომადგენლები. **დაახლოებით ნახევარ საათში** ქაშუეთის მხრიდან მოძალადე ჯგუფებმა პოლიციის კორდონი გაარღვიეს და აქციის მონაწილეებისკენ დაიძრნენ, თუმცა პოლიციამ მათი განეიტრალება შეძლო. ამის შემდეგ ისინი აქციის მონაწილეებს ქვებს, ბოთლებს და სხვადასხვა საგნებს ესროდნენ.

21:00 საათზე პარლამენტის მიმდებარედ, ჩიტაძის ქუჩაზე ძალადობრივი აქციის მონაწილეებმა ტრანსგენდერ ქალს სცემეს. ამ ფაქტიდან დაახლოებით ნახევარ საათში პარლამენტის წინ მდუმარე აქციაზე, მანიფესტანტებმა ლგბტქ+ქ დროშა გაშალეს, რასაც კონტრაქციის მონაწილეთა აგრესია მოჰყვა. გახშირდა პოლიციის კორდონების გარღვევა. აქციამ სრულად ძალადობრივი სახე მიიღო. მოძალადე ჯგუფებმა ქვები, ბოთლები და ბლაგვი საგნები დაუშინეს მდუმარე აქციის მონაწილეებს.

21:40 საათისთვის კონტრაქციის მონაწილეები კორდონში მდგომ პოლიციელებს თავს დაესხნენ და მათ წინააღმდეგ გაურკვეველი წარმომავლობის სპრეი გამოიყენეს. მალევე ადგილზე მივიდა თბილისის პოლიციის უფროსი ვაჟა სირაძე. მოძალადე ჯგუფებმა მანიფესტანტები ალყაში მოაქციეს. ძალადობრივი ჯგუფები სხვადასხვა ბლაგვ ნივთებს ისროდნენ.

22:00 საათზე ჰომოფობიურმა ჯგუფებმა საპატრულო პოლიციის უფროსს ულტიმატუმი წაუყენეს. ჰომოფობიური ჯგუფები ვაჟა სირაძეს მოუწოდებდნენ აქციიდან ლგბტქ+ქ დროშები მოეშორებინა, რათა ისინი ძალადობრივ ქმედებებზე არ გადასულიყვნენ.[99]

98 https://cutt.ly/cYcP48j

99 იხ. ვაჟა სირაძისა და ზურაბ მახარაძის მოლაპარაკება https://cutt.ly/8Yy6w6g

22:00 საათიდან 23:00 საათამდე „მდუმარე აქციის“ მონაწილეები ჩიტაძის ქუჩის მეშვეობით ცდილობდნენ ტერიტორიის დატოვებას, თუმცა პოლიციელთა სიმცირის გამო უსაფრთხო დერეფანი არაერთხელ გაარღვიეს ძალადობრივი აქციის მონაწილეებმა, რის შედეგადაც არაერთი ადამიანი დაშავდა.

აღსანიშნავია, რომ სპეცრაზმი წყლის ჭავლის მანქანებთან ერთად, რუსთაველის გამზირზე დაახლოებით **23:00** საათზე გამოჩნდა. თუმცა, ამ დროისათვის აქცია უკვე სრულდებოდა. **00:00** საათისთვის მშვიდობიანი აქციის მონაწილეებმა რუსთაველის ტერიტორია დატოვეს, მოძალადე ჯგუფებმა კი ჩამოხსნეს, დახიეს და დაწვეს ევროკავშირის დროშა.

დაახლოებით ღამის **01:00** საათისთვის ისინი უცხოელ ტურისტს დაესხნენ თავს.

3.3 ძალადობრივი ჯგუფების ორგანიზებისა და 5-6 ივლისის პროცესების სამართლებრივი შეფასება

2021 წლის 5-6 ივლისის მოვლენების მონიტორინგის შედეგად, არაერთი სამართლებრივი დარღვევა გამოვლინდა. წინამდებარე თავის მიზანია, შეაფასოს „თბილისი პრაიდის“ კონტრაქციის მსვლელობის სამართლებრივი ხასიათი და პასუხები გასცეს თემის ირგვლივ წამოჭრილ შეკითხვებს.

1.უნდა დაეშვა თუ არა ხელისუფლებას „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგო აქციის ჩატარება?

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით აღიარებულ და დაცულია ადამიანთა მშვიდობიანი შეკრების უფლება. ყველას (გარდა იმ პირებისა, რომლებიც თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობაში ირიცხებიან) აქვს მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება,რათასაჯაროდ/კერძოდშეიკრიბონდაკოლექტიურადდაიცვანდაგამოხატონ საკუთარი ინტერესები. შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით სარგებლობა, უმეტეს შემთხვევაში, სხვა, სოციალურ-პოლიტიკურ უფლებათა დაცვისა და რეალიზაციისკენაა მიმართული.

როგორც ანგარიშის წინა თავებშია განხილული, „ღირსების მარშის“ კონტრაქციის ორგანიზატორები თავიდანვე ღიად აანონსებდნენ, რომ მათი მიზანი მშვიდობიანი აქციის ძალადობრივი გზით ხელშეშლა იყო და ისინი იმოქმედებდნენ არა მხოლოდ ლგბტქ+ თემის, არამედ ჟურნალისტების, სამოქალაქო აქტივისტების, დასავლელი ელჩებისა და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წინააღმდეგაც.

ყურადსაღებია, რომ ძალადობის პროპაგანდას სიძულვილის ჯგუფები ეწეოდნენ ღიად, ძალადობის მუქარისშემცველი განცხადებები კეთდებოდა საჯაროდ და ბუნებრივია, სახელმწიფოს 5 ივლისის შედეგების განჭვრეტა წინასწარ შეეძლო. საქართველოს კონსტიტუცია და მოქმედი კანონმდებლობა მხოლოდ მშვიდობიან შეკრებას იცავს და შესაბამისად, სახელმწიფოს ყველა შესაძლო ზომა უნდა მიეღო, რათა ძალადობრივი აქცია

თავიდან აეცილებინა. ამავდროულად, სახელმწიფოს ქონდა პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველეყო "ღირსების მარშის" მონაწილეთა მიერ შეკრება მანიფესტაციის საკუთარი კონსტიტუციური უფლებით სარგებლობა.

შეკრება/მანიფესტაციის ორგანიზებისას, ძალადობის პროპაგანდასა და მოწოდებას დაუშვებლად მიიჩნევს „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ'' საქართველოს კანონიც. (მუხლი 11.1) ამ ნორმის მოქმედება ვრცელდება აქციის მიმდინარეობაზეც და მიუხედავად იმისა, რომ ძალადობრივი აქციის თავიდან ასაცილებლად დროული ზომები არ იქნა მიღებული, კანონმდებლობა ხელისუფლებას შესაძლებლობას აძლევდა, შეეწყვიტა პრაიდის საწინააღმდეგო აქციის მიმდინარეობა, მისი კანონსაწინააღმდეგო ხასიათიდან გამომდინარე. (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 21.3) თუმცა, ნაცვლად იმისა, რომ სახელმწიფოს მხედველობაში მიეღო კონტრაქციის მონაწილეთა 5 ივლისამდე გაკეთებული განცხადებები, შეესრულებინა მისი პოზიტიური ვალდებულება -წინსაწარ აღეკვეთა ან შეეწყვიტა ძალადობრივი აქცია და დაეცვა „ღირსების მარშის" მონაწილეებისა და მედიის წარმომადგენლების უსაფრთხოება, ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, წაახალისა მოძალადეების მიერ სამიზნე ჯგუფების მიმართ არაადამიანური, ღირსების შემლახავი მოპყრობა და დაარღვია საქართველოს კონსტიტუცია.

2.კიდევ რა დარღვევები გამოიკვეთა 5-6 ივლისის აქციებზე?

5-6 ივლისის აქციებზე გამოკვეთილი სამართლებრივი დარღვევების შეფასებისას, უნდა გავიხსენოთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება.[100] განმცხადებლები ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდნენ, რომ 2012 წლის 17 მაისს, სიძულვილით მოტივირებული თავდასხმებისა და პოლიციის უმოქმედობის გამო, მათ ვერ შეძლეს მშვიდობიანი დემონსტრაციის ჩატარება. ევროსასამართლომ კი, აღიარა, რომ მშვიდობიანი დემონსტრანტების დაუცველობა წინააღმდეგობაში მოდიოდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის მე-3 (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) და მე-14 მუხლებთან (დისკრიმინაციის აკრძალვა). 2021 წლის 5 ივლისის მოვლენები კი, თავის მხრივ, კიდევ უფრო დრამატული იყო, ვიდრე 2012 წლის 17 მაისი.

რაც შეეხება „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონს, იგი დაირღვა მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ნაწილშიც. ამ პუნქტის თანახმად, შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეებს ეკრძალებოდათ ფეთქებადი ან ისეთი საგნისა და ნივთიერების აქციაზე შემოტანა, რომელიც გამოიყენებოდა ან შეიძლებოდა გამოეყენებინათ შეკრების მონაწილეთა ან/და სხვა პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის ზიანის მისაყენებლად. თუმცა, როგორც გავრცელებულ ფოტო-ვიდეო კადრებში ჩანდა, ხელკეტებითა და თვითნაკეთი პიროტექნიკით შეიარაღებული ჯგუფი, ფიზიკურად უსწორდებოდა ჟურნალისტებს, ოპერატორებს, ფოტოგრაფებსა და ლგბტქ+ თემის მხარდამჭერებს.

2021 წლის 5-6 ივლისს აქციის მონაწილეებმა ჩაიდინეს ისეთი ქმედებები, რომლებიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადია. მაგალითად, 2021 წლის 5 ივლისს, „ღირსების მარშის" კონტრაქციის მონაწილეებმა

100 იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ / IDENTOBA AND OTHERS V. GEORGIA № 73235/12; 12.5.2015

ჩაიდინეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რომელიც ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლას (ჩადენილი ძალადობის მუქარით) გულისხმობს. ამ დანაშაულის ჩადენის ძირითად მიზანს კონსტიტუციით აღიარებული ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლების შეზღუდვა წარმოადგენს (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17).

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის თანახმად, აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია და ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. ეს მუხლი შეესაბამება ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით განმტკიცებულ გამოხატვის თავისუფლებას. კითხვაზე, თუ რა სახის იდეა, აზრი ან/და ინფორმაცია შეიძლება მოექცეს გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში, ევროსასამართლოს აქვს განმარტება,[101] რომ გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში დაცულია, ერთი მხრივ, ისეთი იდეა, აზრი ან/და ინფორმაცია, რომელიც დადებითად ან ნეიტრალურადაა აღქმული, მეორე მხრივ კი, ისეთი იდეა, აზრი ან/და ინფორმაციაც, რომელიც საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის შეიძლება შეურაცხმყოფელი და შოკისმომგვრელი აღმოჩნდეს. სწორედ ამიტომ, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება იყო, 5 ივლისს ევროკონვენციისა და საქართველოს კონსტიტუციის ფარგლებში ემოქმედა და დაეცვა „ღირსების მარშის“ მონაწილეთა გამოხატვის თავისუფლება.

5 ივლისის ძალადობრივი მოვლენების დროს არც მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება ყოფილა დაცული. კონსტიტუციის მე-17 მუხლი ასევე აკეთებს აქცენტს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლებაზე, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი ფუნდამენტია. შესაბამისად, აზრის თავისუფლებაში ჩარევის პროცესში ჩარევა ძალიან დიდ სიფრთხილეს საჭიროებს. თანაზომიერების პრინციპთან ერთად, აზრის თავისუფლებაში ნებისმიერი ჩარევა განსაზღვრულობის პრინციპს უნდა შეესაბამებოდეს. საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში[102] საგანგებოდ აღნიშნა, რომ „გამოხატვის თავისუფლების შემზღუდველი ნორმები უნდა იყოს გათვალისწინებული ნათელი და განჭვრეტადი, ვიწროდ მიზანმიმართული კანონით. გამოკვეთილი უნდა იყოს ის უფლება, რომლის დასაცავადაც გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს“. ამავე გადაწყვეტილებაში სასამართლო ყურადღებას ამახვილებს თავისუფალი მედიის როლზე წარმატებული და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შენების პროცესში. კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვის გასამართლებლად, ლეგიტიმურ მიზანსა და უფლების შეზღუდვას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობაზე ყურადღებას ამახვილებს საკონსტიტუციო სასამართლო თავის არაერთ საქმეშიც. მაგალითად, 2012 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებაში, საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

5 ივლისის მოვლენები მედიაზე მასობრივი ზეწოლისა და ძალადობის ფონზე მიმდინარეობდა. ჟურნალისტებს ხელი შეეშალათ პროფესიული საქმიანობის შესრულებაში. თუმცა ხელისუფლებამ არ უზრუნველყო მასობრივი ინფორმაციის

101 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე, case of ukrainian media group v ukraine.

102 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 10 ნოემბერი, 2009.

საშუალებების თავისუფლება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი ადამიანთა თანასწორობის უფლებას იცავს. ამ მუხლის თანახმად, ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია და აკრძალულია მათი რაიმე ნიშნით დისკრიმინაცია. კონსტიტუციით აღიარებული თანასწორუფლებიანობის დაცვის ერთგვარი ბერკეტია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლი, რომელიც ასევე მნიშვნელოვნად დაირღვა 5 ივლისის აქციაზე. ამ მუხლის თანახმად, დაუშვებელია დევნა ადამიანის სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, **პროფესიულ,** რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით. დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა გულისხმობს დევნას მოცემულ კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელების გამო. 156-ე მუხლის მე-2 ნაწილში პასუხისმგებლობა გამკაცრებულია, თუ ადამიანის დევნა ჩადენილია ძალადობით ან მისი მუქარით; სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ასევე, მაშინ, თუ დევნამ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

სამართალდამცავებმა აქციის მსვლელობისას და გამოძიების ფარგლებში დააკავეს აქციის არაერთი მონაწილე, რომლებსაც ბრალდება წარედგინათ სსსკ-ის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე (ადამიანის დევნა პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ჩადენილი ძალადობით).

ადამიანის პირადი სივრცე და კომუნიკაცია ხელშეუხებელია. არავის აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ან სხვა მფლობელობაში მფლობელი პირის ნების საწინააღმდეგოდ. ამ დებულებას განამტკიცებს საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი, რომელიც ასევე უხეშად დაირღვა აქციის მონაწილეთა მიერ და მოძრაობა „სირცხვილიას“ ოფისში შეჭრითა და „თბილისი პრაიდის“' ოფისზე თავდასხმაში გამოიხატა. კონსტიტუციის მე-15 მუხლის სამართლებრივ გარანტად კანონმდებლობაში გვევლინება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლი - ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა. დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა ითვალისწინებს ბინაში ან სხვა მფლობელობაში მფლობელობის ნების საწინააღმდეგოდ უკანონო შესვლას, უკანონო ჩხრეკას ან სხვა ქმედებას, რომელიც არღვევს ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მუხლით დაკავებულია მხოლოდ 3 პირი, როდესაც, ოპერატორების მიერ გადაღებული კადრები სამზე მეტი პირის ამოცნობის შესაძლებლობას იძლევა.

5 ივლისს ერთი პირი პოლიციამ მოქალაქის მიმართ ჩადენილი ძალადობისთვის დააკავა. პირს ბრალდება წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის საფუძველზე, რაც გულისხმობს ძალადობას და მისგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის ჯანმრთელობა.

ერთი პირი სამართალდამცავებმა საპატრულო პოლიციის ავტომანქანის გვერდითი საქარე მინის დაზიანების გამო დააკავეს. გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის საფუძველზე, რაც სხვისი ნივთის (განზრახ) დაზიანებას გულისხმობს.

აგრესიული ჯგუფები 5-6 ივლისს წინააღმდეგობას უწევდნენ სამართალდამცავებს. რის შედეგადაც, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე, პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის ბრალდებით 100 პირი დააკავეს.

საგულისხმოა, რომ 5 ივლისს სამართალდამცავთა სიმცირე შეინიშნებოდა. შინაგან საქმეთა მინისტრის, ვახტანგ გომელაურის ცნობით, 3200 სამართალდამცავი მუშაობდა ჯერ 3, შემდეგ 8 და ბოლოს 20 ლოკაციაზე და მათ ყველაფერი გააკეთეს სიტუაციის სტაბილიზაციის მიზნით. თუმცა, აქციაზე გადაღებული არაერთი კადრი ცხადყოფს, რომ სამართალდამცავთა მუშაობა არ იყო ეფექტიანი. მათ ვერ მოახერხეს ჟურნალისტებისა და „თბილისი პრაიდის“ მხარდამჭერების წინააღმდეგ მიმართული თავდასხმების შეკავება. ვერ დაიცვეს „სირცხვილიას“, „თბილისი პრაიდისა“ და „ადამიანის უფლებათა სახლის“ ოფისები შეტევისგან.

3.როგორ შეიძლება დაკვალიფიცირდეს ორგანიზების პროცესი?

ჯგუფური ძალადობა პროტესტის გამოხატვის მართლსაწინააღმდეგო ფორმა და ორგანიზებული დანაშაულის ნაირსახეობაა, რომელიც საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას. **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლი სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადად აცხადებს ჯგუფური ძალადობის ორგანიზებას, ხელმძღვანელობას ან მასში მონაწილეობას**. მიუხედავად იმისა, რომ დაკავებულთა შორის არიან ისეთებიც, რომლებსაც პროკურატურა სსსკ-ის 225-ე მუხლის საფუძველზე ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობას ედავება, გამოძიების ფარგლებში არცერთი პირი არ დაუკავებიათ ამ ძალადობის ორგანიზებისა და ხელმძღვანელობისთვის. შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს პროკურატურის ასეთი პასიურობა კი განსაკუთრებით შემაშფოთებელია იმ ფონზე, რომ სოციალურ ქსელებსა და მედიასივრცეში გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი არაერთი მტკიცებულება მოიპოვება.

გამოძიება არ დაწყებულა არც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც ერთგვარი სამართლებრივი გარანტორია 1997 წლის 12 ივნისს მიღებული „შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სამართლებრივ პასუხისმგებლობას აწესებს ამ უფლების ხელყოფისთვის. შეკრების ან მანიფესტაციისთვის უკანონოდ ხელის შეშლა შეიძლება გამოიხატოს შეკრების ორგანიზატორებსა და მონაწილეებზე ფიზიკური ზემოქმედების ან ასეთი ზემოქმედების მუქარის მეშვეობით. 5 ივლისის მოვლენებში ნათლად იკვეთებოდა სსსკ-ის 161-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები. თუმცა სამართალდამცავ ორგანოებს გამოძიება შეკრების ან მანიფესტაციის უფლების ხელყოფის ფაქტზე, ამ დრომდე არ დაუწყიათ.

აღსანიშნავია, სახალხო დამცველის განცხადება.[103] ნინო ლომჯარიამ, 6 სექტემბრის ბრიფინგზე[104] განაცხადა, რომ შეისწავლა მედიასაშუალებების მიერ გავრცელებული ვიდეომასალები და მიაჩნია, რომ საჯაროდ ხელმისაწვდომი მტკიცებულებები აღწევდა დასაბუთებული ვარაუდის, ანუ ბრალის წარდგენის სტანდარტს, რათა 2 პირის მიმართ (ზურაბ მახარაძე და სპირიდონ ცქიფურიშვილი) დაეწყოთ სისხლისსამართლებრივი დევნა ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდების ფაქტებზე.

103 https://cutt.ly/OYy6cGK

104 იხ. ბრიფინგი https://youtu.be/EW2R5qXiLuU

3.4 საკომუნიკაციო არხები და ძირითადი მესიჯები

(კომუნიკაცია საზოგადოებასთან, კომუნიკაცია ჯგუფის წევრებთან, კომუნიკაცია ჯგუფებს შორის; არხები, გზები, საშუალებები)

„თბილისი პრაიდის“ მიერ დაგეგმილ აქციამდე ერთი თვით ადრე, „ალტ-ინფოს“ (ალტერნატიული ინფორმაციის) ეთერებიდან და საკომუნიკაციო ქსელებიდან აქტიურად ვრცელდებოდა ისეთი პროპაგანდისტული განცხადებები, რომლებიც მიზნად ისახავდა მოქალაქეთა პროდასავლური ორიენტაციის შეცვლას. „ალტ-ინფოს“ ძალადობრივი რიტორიკა თანდათან უფრო აგრესიული ხდებოდა და პირველ რიგში აშშ-სა და ევროკავშირს მიემართებოდა.

> *„დასავლეთი არის ის ძალა, რომელიც აქამკვიდრებს ამ სიბინძურეს. დასავლეთი არის ძალა, რომელიც პიდარასტობის ნორმალიზაციის პროპაგანდას ეწევა... იმ მოთხოვნებს გვიყენებს მთელ ქვეყანას, რომ აიძულოს სისტემა, აიძულოს ხელისუფლება, გადატეხოს ქართველი ხალხის ნება და კულტურა, იდენტობა გადატეხოს. ეს არის დასავლეთი. ამიტომ, სიბრაზე ხალხის, სიძულვილი ხალხის, უნდა იყოს მიმართული კონკრეტულად, პირველ რიგში ამერიკისკენ და ევროკავშირისკენ, რომელიც არის შემოქმედი ამ სიბინძურისა საქართველოში“, - შოთა მარტინენკო.*

წამყვანები ცდილობდნენ, ამერიკა და ევროკავშირის ქვეყნები იმ ძალებად წარმოეჩინათ, რომლებიც ქართველთა ეროვნულ იდენტობას, ტრადიციებსა და კულტურას უქმნიდნენ საფრთხეს. პარალელურ რეჟიმში კი, პრორუსული ძალები საქართველოში, აქცენტს რუსულ კანონმდებლობაზე აკეთებდნენ (მაგ.: სექსუალური უმცირესობისთვის მანიფესტაციის აკრძალვის შესახებ კანონზე).

საყურადღებო იყო აქციის ორგანიზატორთა ლექსიკური ნარატივი. „სასურველი რეალობის“ შესაქმნელად რადიკალური ჯგუფები ჰომოსექსუალიზმს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ისეთ დანაშაულებს უტოლებდნენ, როგორებიცაა **მკვლელობა**,[105] **გაუპატიურება, გარყვნილი ქმედება და ა.შ.** [106] [107] [108] გარდა ამისა, ორგანიზატორები თავიანთ განცხადებებში ხშირად იყენებდნენ ე.წ. „სახიფათო სიტყვებს“, მაგალითად, „ღირსების მარშის“ ჩატარებას საქართველოში ლგბტქ+ **დიქტატურის** დამყარებად, ერის ზნეობრივ **ოკუპაციად** აფასებდნენ.

„თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგო აქციის ორგანიზატორებმა ჯერ კიდევ ერთი თვით ადრე დაიწყეს ძალადობისთვის ფონის მომზადება. „ალტ-ინფოს“ წევრები პირდაპირი ეთერიდან ცდილობდნენ საზოგადოება დაერწმუნებინათ, რომ 5 ივლისს **სამშობლოსა და ეკლესიის დასაცავად** იკრიბებოდნენ და შესაბამისად, ძალადობა **გმირობის** ტოლფასი იქნებოდა:

105 იხ. ვიდეო https://cutt.ly/MYy6TcG (MDF მედიამონიტორინგის ფარგლებში).

106 იხ. ვიდეო https://cutt.ly/rYy6DTZ (MDF მედიამონიტორინგის ფარგლებში).

107 იხ. ვიდეო https://cutt.ly/oYy6JID (MDF მედიამონიტორინგის ფარგლებში).

108 იხ. ვიდეო https://cutt.ly/ZYy6MH4 (MDF მედიამონიტორინგის ფარგლებში).

„ჩვენი შეხედულების ადამიანი, სადაც არ უნდა მოხვდეს, თუკი სწორი ფასეულობების გამო იბრძვის, ციხეშიც რომ მოხვდეს, ციხეშიც გმირი იქნება. ამაში დასაძრახი არაფერი არ არის“.

ბუნებრივია, რომ ამ სიტყვებზე კვლავ 5 ივლისის დუგინისეული შეფასება

(„ქართველები თავიანთი გმირული ქმედებით მსოფლიო ბალანსს ჩვენს სასარგებლოდ ცვლიან“) გვახსენდება.

ძალადობის გამართლებას ცდილობდა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრი ბონდო მძინარიშვილიც, – *„მე ვამბობ, რომ არავისი მოკვლა არ შეიძლება, ძალადობა არავისზე არ შეიძლება. ახლა ვიღაცა რომ მოვიდეს და გაღიზიანებს და გიჩიჩხინებს და გიტიკინებს რაღაცას, იმას რომ პასუხს გასცემ, იმისი პასუხისმგებლობაც ხომ არის, რატომ გიჩიჩხინა ამდენი?! სანამ არ გაგაგიჟა და თავში რაღაცა არ ჩაარტყი, ხომ?!“* [109]

ძალადობის წახალისების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი ხერხი, ქვეყნის ისტორიული გამარჯვების ძალადობის აქტთან ასოცირებაა, რომელიც შემდეგ, საზოგადოების ცნობიერებაში ილექება და საჭირო დროს, საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენას ისახავს მიზნად. ამ მხრივ, საყურადღებო იყო ზურაბ მახარაძის მიერ დიდგორის ბრძოლის („ძლევაი საკვირველი“) შეფასება საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდ, ეფექტიან და საამაყო **ძალადობის აქტად**.[110]

არანაკლებ საყურადღებო იყო, „თბილისი პრაიდის“ თემასთან ქართველებისთვის ძალზე მტკივნეული საკითხის დაკავშირება და პოლიტიკური მანიპულაციები. „ალტ-ინფოს“ წევრები, ლევან ვასაძე და მოძრაობა „ერის“ მხარდამჭერები, „ღირსების მარშის“ ჩატარებას დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებისთვის საფრთხისშემცველ ფაქტად აფასებდნენ.

„თუ ისინი (საუბარია ლგბტქ+ თემზე) გაიმარჯვებენ, ჩვენ დავკარგავთ მიზერულ შანსსაც კი, რომ ვესაუბროთ ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს საერთო სახელმწიფოს იდეაზე, რადგან ეს არის კავკასია და კავკასიაში ასეთ სახელმწიფოს, რომლის მთავარ პროსპექტზეც გარყვნილების ნორმალიზების აღლუმია, არავინ ელაპარაკება“, - ზურაბ მახარაძე.[111]

„კავკასიის სულის ნაწილში პრაიდები რომ ჩავატარებინოთ, რა უნდა ველაპარაკოთ მერე ჩვენს აფხაზებს და ოსებს და სეპარატისტებს?“ - ბექა ვარდოსანიძე.[112]

„პრაიდი უქმნის საფრთხეს ჩვენს რეინტეგრაციას აფხაზებთან და ოსებთან, უცხოეთის ელჩებო, ნუ გაერევით ამ პრაიდში, დარჩით საელჩოებში“, - ლევან ვასაძე.[113]

პროპაგანდისტული განცხადებების ძალიან დიდი ნაწილი მოდიოდა რელიგიის სახელით ძალადობის წახალისებაზეც. პრაიდის საწინააღმდეგო აქციის ორგანიზატორები და მათთან დაკავშირებული პირები სისტემატურად ცდილობდნენ, მართლმადიდებლური ეკლესიის

109 იხ. ვიდეო https://cutt.ly/qYy696T (MDF მედიამონიტორინგის ფარგლებში).

110 იხ. პოსტი https://cutt.ly/iYy65VR

111 იხ. ზურაბ მახარაძის მიმართვა https://cutt.ly/IYuqtx7 (დრო 01:40) (MDF მედიამონიტორინგის ფარგლებში).

112 იხ. ბექა ვარდოსანიძის მიმართვა https://cutt.ly/oYuqspO

113 იხ. ლევან ვასაძის მიმართვა https://cutt.ly/RYuqj14

მრევლის თვალში „ღირსების მარშის“ ჩატარება ეკლესიისა და სარწმუნოების წინააღმდეგ მიზანმიმართულ ბრძოლად გამოეცხადებინათ.

5 ივლისს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით სოციალურ მედიაში არაერთი ფეისბუკ გვერდი შეიქმნა, უკვე არსებული გვერდები კი აქტიურად ეწეოდნენ რადიკალური ჯგუფების პროპაგანდას.

მიუხედავად იმისა, რომ ფეისბუკის ადმინისტრაციამ ათობით გვერდი დაბლოკა, დღესაც აქტიურად მუშაობს არაერთი ანგარიში, რომელიც სისტემატურად ავრცელებდა და ახლაც ავრცელებს ძალადობრივ, ჰომოფობიურ, ანტიდასავლურ დეზინფორმაციას. „მითების დეტექტორი“ აქტიურად მუშაობდა ამ ჯგუფების გამოსავლენად და ძალადობრივ ჯგუფებთან აფილირებული სოციალური გვერდების ჩამონათვალი წარმოადგინა:

„ერთსულოვნება“ □ □□ სამშობლოს სიყვარულში : □ აი პოლიცია იჩენს სინდისს | Facebook	დედამიწის ანგელოზები | Facebook
□ემიგრანტებო□სამშობლოში□ : უკრაინაში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა გეი-აღლუმის დაცვაზე უარი თქვეს | Facebook	კონსერვატორი | Facebook
ნაციონალისტური საქართველო | Facebook	□მნიშვნელოვანი□ | Facebook
მნიუსი Mnews | Facebook	ტრადიციონალისტური პლატფორმა – Posts | Facebook
გასამართლდეს ნაციონალური მოძრაობა! | Facebook	ეროვნული იდეოლოგია-უალტერნატივოა | Facebook
ZNEOBA.GE | Facebook	სარკრაზმელები | Facebook
საქართველოს ფსიქიატრიული რესპუბლიკა | Facebook	□□□სამშობლოს არვის დავუთმობთ!!!....□□□ | Facebook
ტკბილ ხარ შენ უფალო | Facebook	ლევან ვასაძის მხარდამჭერები levan vasadze | Facebook
ქართული იდეა - qartuliidea.ge | Facebook	„სიმართლის გზა" | Facebook
არა გენდერს და ლგბტქ+ პროპაგანდას | Facebook	გასამართლდეს ნაციონალური მოძრაობა! | Facebook
მოძრაობა ძლევაი საკვირველი | Facebook	პატრიოტთა ალიანსის მხარდამჭერები ! ! ! | Facebook
კორონამაფია და საქართველო როგორც საექსპერიმენტო ქვეყანა | Facebook	«მართლმადიდებლობა» | Facebook
ანტი-მასონობა. „ანტიქრისტეს“ ახალი მსოფლიო წესრიგი (NWO); ანტი-ეკუმენიზმი | Facebook	ბიძინა ივანიშვილის მეგობრები "ფეისბუქზე" | Facebook
ჩვენ გვიყვარს საქართველო □ : ასეთებისთვის.....გვიყვარს საქართველო ხალხნო .....ასეთებისთვის მოგვიტანა წინაპრებმა ...ჩვენმა გმირებმა | Facebook	ჩვენ გვიყვარს საქართველო □ | Facebook

გარყვნილების წინააღმდეგ!!! | Facebook	ლუსტრაცია | Facebook
ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოება | Facebook	დადუმებული ქართველობა | Facebook
ქართული გვერდი / Georgian Page | Facebook	პატრიოტული გვერდი | Facebook
საქართველო უპირველეს ყოვლისა | Facebook	საქართველოს შვილი | Facebook
ეროვნული ტელევიზია დიდგორი TV | Facebook	ანტილიბერალები | Facebook
ეროვნული დარაზმულობა | Facebook	

პერიოდულად, „ალტ-ინფოს“ ფეისბუკ გვერდი იბლოკებოდა, რასაც პარალელურ რეჟიმში ხელახალი გვერდების შექმნა მოჰყვებოდა. გარდა ფეისბუკისა, „ალტ-ინფო“ არაერთ სოციალურ ქსელსა და არხს იყენებს საკომუნიკაციოდ. მაგალითად:

Facebook-ზე	Alt-Info - ოფიციალური საიტი https://cutt.ly/WYuwnR6
ალტ-ინფო | Facebook,	Alt-Info APP https://cutt.ly/eYuwsJv
ალტ-ინფოს მხარდამჭერები | Facebook,	Youtube.com Alt-Info - YouTube
ალტ-ინფო | Facebook	Telegram https://cutt.ly/IYuwl6r
	Viber https://cutt.ly/7Yuq9ri
	Tik Tok https://cutt.ly/BYuqXnE https://cutt.ly/YYuqTDd https://cutt.ly/MYuqnHr

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე კვირის წინ, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ „ალტ-ინფოს“ მთელი საქართველოს მასშტაბით მაუწყებლობის უფლება მისცა.

დასკვნა

2021 წლის 5 ივლისს, რადიკალურად განწყობილ ჯგუფთა პროტესტი გასცდა მშვიდობიანი აქციის ფარგლებს და კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო. აქციის რადიკალურად განწყობილი მონაწილეები ფიზიკურად გაუსწორდნენ მათ სამიზნე ჯგუფებს. დააზიანეს მედიის ტექნიკა, დაარბიეს მოძრაობა „სირცხვილიასა“ და „თბილისი პრაიდის“ ოფისები. იერიში მიიტანეს ადამიანის უფლებათა სახლზე. 5 ივლისის ძალადობრივ აქციას წინ უძღოდა თითქმის ერთთვიანი აგრესიული კამპანია, რაც, თავის მხრივ, მოვლენათა დრამატულად განვითარების გონივრულ ეჭვს ქმნიდა.

მიუხედავად ფიზიკური დაპირისპირების საფრთხისა, დაძაბული ვითარების განსამუხტად, სახელმწიფომ ეფექტიანი ღონისძიებები არ განახორციელა და არ უზრუნველყო ლგბტქ+ თემის წევრების, მათი მხარდამჭერების, სამოქალაქო აქტივისტებისა და მედიის წარმომადგენლების დაცვა თავდასხმებისგან. სამწუხაროა, რომ ხელისუფლების არაერთმა მაღალჩინოსანმა „ღირსების მარში“ ოპონენტების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური სპეკულაციებისთვის გამოიყენა, ხელი შეუწყო მოქალაქეთა პოლარიზებას და ჰომოფობიური განცხადებებით ძალადობა წაახალისა.

ივლისის მოვლენებიდან ოთხ თვეზე მეტია გასული. მართალია, გამოძიების ფარგლებში 31 პირი დააკავეს, თუმცა, არაერთი პირდაპირი მტკიცებულების მიუხედავად, ძალადობის ორგანიზებისთვის არავინ დასჯილა. ორგანიზატორებთან ერთად დაუსჯელია მოძალადეთა დიდი ნაწილი.

2021 წლის 5-6 ივლისის მოვლენებმა ცხადყო:

ლგბტქ+ თემის წევრებს არ მიეცათ კონსტიტუციურად გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლებების სრულყოფილად რეალიზაციის შესაძლებლობა

- *მედიასაშუალებებს ხელი შეეშალათ პროფესიული საქმიანობის შესრულებაში*
- *ძალადობრივი ჯგუფები ცდილობენ საფრთხე შეუქმნან საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესს, რაც, თავის მხრივ, საქართველოში პრორუსული განწყობების გაძლიერებას გულისხმობს*
- *ხელისუფლებამ შელახა კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით/შეთანხმებებით აღებული ვალდებულებები.*